

ვასტანგ გურული

მეფე  
ერეკლეს წუთისოფელი  
(პიესა ორ მოქმედებად)

რედაქტორი პროფესორი ავთანდილ არაბული

გამომცემლობა „არტანუჯი“  
თბილისი

**მოქმედი პირნი:**

**ერეკლე II** – თეიმურაზ II-ის ძე, კახეთის მეფე, ქართლ-კახეთის მეფე;

**ნადირი** – ირანის შაჰი;

**სერგეი გოლიცინი** – რუსი თავადი, დიპლომატი;

**ბატონიშვილი ბაქარი** – ვახტანგ VI-ის ძე, ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე;

**თეიმურაზ II** – ერეკლე I ნაზარალიხანის ძე, ქართლის მეფე;

**ანტონ I** – ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ძმის იესეს ძე, კათოლიკოს-პატრიარქი;

**ნიკიტა პანინი** – რუსი თავადი, რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, ვიცე-კანცლერი;

**ქერიმ-ხანი** – ირანის შაჰის ტახტისთვის მებრძოლი, ირანის გამგებელი.

**გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენი** – რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი პრუსიელი გენერალი, საქართველოში გამოგზავნილი საექსპედიციო რაზმის მეთაური.

**ბატონიშვილი ლევანი** – ერეკლეს II-ის ძე;

**ივანე ბაკუნინი** – რუსი თავადი, სენატორი;

**ზაალ ორბელიანი** – ქართლელი თავადი;

**მაკარი** – რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის მდივანი;

**ივანე ზოტოვი** – რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის მოხელე;

**ეკატერინე II** – რუსეთის იმპერატორი;

**გრიგოლ პოტიომკინი** – რუსი თავადი, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, კავკასიის ხაზის უფროსი;

**გარსევან ჭავჭავაძე** – კახელი თავადი, დიპლომატი;

**აღა-მაჰმად-ხანი** – ყაჯართა ტომის ბელადი, ირანის შაჰის ტახტისათვის მებრძოლი;

**პოლკოვნიკი რობერტსონი** – ინგლისელი ოფიცერი, დიპლომატილი;

**მამა თეოდორე** – კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ანტონ I-ის მოძღვარი;

**ყულარადასი** – აღა-მაჰმად-ხანის სამხედრო მინისტრი;

**ელჩობის ხელმძღვანელი** – რუსეთიდან დაბრუნებული ირანის ელჩობის ხელმძღვანელი;

**იუსუფ-ბეგი** – რუსეთში (ყაზლარში) საგანგებო დავალებით გაგზავნილი დიპლომატი.

**აჰმედ-ხანი** – ყორჩიბაში;

**ბატონიშვილი აღმასხანი (ვახტანგი)** – ერეკლე II-ის ძე;

**პავლე I** – რუსეთის იმპერატორი;

**სოლომონ ლიონიძე** – თავადი, ანტირუსულად განწყობილი პოლიტიკური მოღვაწე;

**სოლომონ II** – იმერეთის მეფე, ერეკლე I-ის შვილიშვილი;

**კონსტანტინე ჩოლოყაშვილი** – კახელი თავადი;

**დავით ანდრონიკაშვილი** – კახელი თავადი;

**დავით ვაჩნაძე** – კახელი თავადი;

**მამა იოანე** – თბილისელი მღვდელი;

**ღვთისო** – ხევისბერი;

**გიორგი** – ხევისბერი;

### **პირველი მოქმედება**

#### **პირველი სცენა**

*ირანი. ნადირ-შაჰის სატახტო ქალაქი. შაჰის სასახლე. ტახტზე ზის ნადირ-შაჰი, გვერდით უზის ერეკლე. დრო: 1744 წელი.*

**ნადირ-შაჰი:** უფლისწულო! ეს-ესაა ლაშქრობას მოვრჩი, ცოტა უნდა შევესვენო, ირანის შინაურ საქმეებს მივხედო, ქართლისა და კახეთის საქმეებსაც. ქართლიცა და კახეთიც დღეს მძიმე მდგომარეობაშია. ეს არც ირანის და არც ოსმალეთის ბრალი არ არის, ყველაფერში ქართლის მეფე ვახტანგია დამნაშავე. რა წყალობა არ ჰქონდა ირანის შაჰისაგან, რა პატივი და მაინც რუსეთისაკენ გაუწია გულმა. ისლამის მიღება არ სურდა? ვინ აძალებდა? ეთქვა უარი და შაჰი სხვას დაამტკიცებდა ტახტზე. რითი იყვნენ ვახტანგზე ნაკლები ისლამის რჯულზე მოქცეული ქართლისა და კახეთის მეფეები გიორგი ან ქაიხოსრო? მათ შაჰს სიტყვა მისცეს და სიკვდილამდე ერთგულნი იყვნენ ალაჰის, შაჰისა და ვაჟკაცის სიტყვისა. ვახტანგმა კი რა ქნა? ისლამის რჯულზე მოიქცა, შაჰს სიტყვა მისცა და თბილისში დაბრუნების შემდეგ ყველაფერი დაივიწყა – რუსეთის იმპერატორს შეჰფიცა ერთგულება. ვახტანგი მოღალატე იყო და დაისაჯა ისე, როგორც

მოღალატეს შეკფერის! დასანანია, რომ სიკვდილით ვერ დაესაჯე! ალაჰისა და შაჰის ღალატი არავის შერჩება! რატომ დუმხარ? შენც ხომ ასე ფიქრობ?

**ერეკლე:** ირანის მბრძანებელო! კახეთის ბაგრატიონებს, პაპაჩემს, ერეკლე ნაზარალიხანს, ბიძაჩემს – კონსტანტინეს და მამაჩემს – თეიმურაზს, შაჰისთვის მიცემული სიტყვა არა გაუტეხიათ, ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ ირანს.

**ნადირ-შაჰი:** ჭეშმარიტად. ბიძაშენი, კახეთის მეფე კონსტანტინე, ჩვენს სამსახურში დაიღუპა, ოსმალებმა მოკლეს; მამაშენი თეიმურაზიც ერთგულებით გამოირჩევა; შენც მომეწონე, ერეკლე. კარგი სარდალი დადგება შენგან, მეფეც არ იქნები ურიგო. მინდოდა ქართლის მეფედ დამემტკიცებინე, მაგრამ ვახტანგის ერთგული თავადების ხელში მებრალეები (გაიღიმებს). ასე გადავწყვიტე: ქართლის ტახტს მამაშენს, თეიმურაზს, მივცემ, კახეთისას – შენ გარგუნებ, ერეკლე. ქართლში ვახტანგის ყველა მომხრე უნდა დახოცოთ ან ქვეყნიდან გააძეოთ. ვახტანგის შთამომავლობა ქართლში ვედარასოდეს ვერუნდა დაბუნდეს! თეიმურაზი შენზე გამოცდილია, შენ მას დაუჯერებ, ერთად იმეფებთ. ქართლის თავადებს რომ შიში ჰქონდეთ, თბილისში ირანის გარნიზონს ჩავაყენებ, კახეთის ციხეებს შენ უპატრონე, გაამაგრე. მე ოსმალთან სამუდამო ზავი არ შემიკრავს. თუ ირანსა და ოსმალეთს შორის ომი ატყდა, ოსმალთა ღაშქარი ქართლსა და კახეთს შემოუტევეს, შეძლებთ ოსმალთა შეტევის შეჩერებას?

**ერეკლე:** ირანის მბრძანებელო! ოსმალთა შემოტევას, თუ მტკვრის ხეობის გავლით დაიწყო, შევაჩერებთ, გორსა და თბილისს გავამაგრებთ. ბორჩალოდან ოსმალები ალბათ არ შემოგვიტევენ, რადგან ამ მხარეში მათი შეჩერება კიდევ უფრო ადვილია. აი, თუ ჭარ-ბელაქნის მხრიდან შემოგვიტიეს, გაჭირდება საქმე. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად გიერთგულებენ ყარაბაღის, ერევნის, ნახჭევანის, განჯისა და შუშის ხანები.

**ნადირ-შაჰი (ოდნავ გაბრაზებული):** ერეკლე! ჩემი ორგულები ან მიწაში წვანან ან მალე გავისტუმრებ ამ ქვეყნიდან! ეს ეხება ყველას, მათ შორის – ქართლისა და კახეთის მოსაზრდვრე ხანებსაც. შენ ჭკვიანი კაცი ხარ და უნდა გესმოდეს: ჭარ-ბელაქანს ნუ მთხოვ, ვერ მოგცემ, ვერც ბორჩალოს! ეს ორი მხარე კავკასიაში ირანის ბატონობისათვის აუცილებელია. რაც შეეხება ქართლისა და კახეთის მოსაზრდვრე ხანებს, ეჭვიც არ მეპერება, რომ, თუ გამიჭირდა, მიღალატებენ. მე არცერთ მათგანს არ ვენდობი, მაგრამ გენდობით

შენ და მამაშენს. თუ ხანებს რაიმე შეატყვეოთ, მაშინვე მაცნობეთ. გარდა ამისა, ქართლში დარჩენილ ვახტანგის მომხრე ყველა თავადს თქვენი ერთგული კაცები მიუჩინეთ, ყველაფერს თვალ-ყური ადევნეთ. მოღალატის ხვედრი სიკვდილია, კარგად დაიმახსოვრე ეს, ერეკლე!

**ერეკლე:** ირანის მბრძანებლო! მე მხოლოდ ერთგულება მსურს დაგიმტკიცო და ვცდილობ ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც ირანის მბრძანებელი ინებებს!

**ნადირ-შაჰი:** მე ვხედავ თქვენს ერთგულებას და ამიტომ გადავწყვიტე: არც თეიმურაზს და არც შენ, ერეკლე, ტახტზე დამტკიცების პირობად რჯულის შეცვლას არ მოგთხოვთ. თქვენც უნდა დააფასოთ ეს და ჩემი ერთგულები იყოთ!

**ერეკლე (მადლობის ნიშნად თავს დახრის):** როდის მიბრძანებთ გამეზავრებას?

**ნადირ-შაჰი:** ხვალვე შეგიძლია წახვიდე! დაიმახსოვრე: თუ მე ოსმალეთი დავამარცხე და კავკასიიდან გავაძევე, იმერეთში მეფედ შენს შვილს დავსვამ. ამ დიდ საქმეს ხელი შეიძლება რუსეთმა შეუშალოს. გაფრთხილებ: რუსეთი შეეცდება ჩვენი მეგობრობა დაარღიოს; ეს კი ძვირად დაუჯდება საქართველოს!

**ერეკლე:** ირანის მმბრძანებლო! ჩვენს მეგობრობას ვერც რუსეთი და ვერც ოსმალეთი ვერაფერს დააკლებს. კახ ბაგრატიონებს ირანის შაჰისთვის მიცემული სიტყვა არასდროს გაუტეხიათ!

**ნადირ-შაჰი:** წადი ერეკლე! მენანება კი შენი გაშვება, შენისთანა კაცები აქაც ძალიან მჭირდება! წადი, ყველაფერი ალაჰის ნებაა! (ერეკლე თავს დაუკრავს, გადის).

### მესამე სცენა

თელავი. სასახლე. დაბრაზში სხედან თეიმურაზ II და ერეკლე II.

დრო: 1744 წელი.

**თეიმურაზი:** ერეკლე, შვილო, უკვე სამი დღე გავიდა, რაც ირანიდან დაბრუნდი, მაგრამ სასაუბროდ დრო ვერ გამოვნახე. დავიდალე, შვილო, შენი ირანში წასვლის შემდეგ სულ მარტო დავრჩი. ვერც თელავში ვგრძნობდი თავს კარგად და ვერც თბილისში. დავიდალე, ერეკლე! ჩემი უფროსი ძმა, ბიძაშენი კონსტანტინე, ჩემზე გამორჩეული იყო ყველაფრით და ხომ გახსოვს,

რითაც დაასრულა თავისი გამწარებული სიცოცხლე? მე ჯერ არავისთვის მითქვამს და შენც ნურავის ეტყვი: ბიძაშენი კონსტანტინე ჯვარს არ იცილებდა, ფარულად ატარებდა პერანგის ქვეშ, ღოცულობდა კიდეც, სამი ეკლესია შეაკეთებინა კახეთში. უბედური კაცი იყო მეფე კონსტანტინე! ხშირად ვფიქრობ: კახთა მეფე კონსტანტინე, ჩემი უბედური ძმა, ირანის შაჰის სამსახურში იყო და ოსმალებმა დალატით მოკლეს. გაიგებს კი ჩვენი შთამომავლობა იმას, რომ კონსტანტინე თავისი ქვეყნისათვის დაიღუპა და არა ირანისთვის? მგონია, რომ ვერ გაიგებს. მეშინია, მოღალატედ არ შერაცხოს შთამომავლობამ უბედური ბიძაშენი. მიხვდები, ალბათ, რატომ წამოვიწყე ეს საუბარი? ირანის შაჰმა გვიბოძა ჩვენ ქართლისა და კახეთის სამეფოთა ტახტები. დიდი წყალობაა, მაგრამ შაჰი ტყუილად არ გვწყალობს: ქართლმა და კახეთმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაწყვიტოს კავშირი რუსეთთან და მხოლოდ ირანს დაუკავშიროს თავისი ბედი.

**ერეკლე:** მამავ ბატონო! ეს არც დაუმაღავს ნადირ-შაჰს, პირდაპირ მითხრა. დღესაც ნანობს, ვახტანგის სიკვდილით დასჯა რომ ვერ მოახერხა.

**თეიმურაზი:** ნადირ-შაჰი ჭკვიანია, შორსმჭვრეტელია. ისლამის სჯულზე მოქცევა იმიტომ არ მოგვთხოვია, რომ ვახტანგის მსგავსად არ გავებოროტებინეთ, უკმაყოფილების საფუძველი მოგვისპო.

**ერეკლე:** არც ეს დაუმაღავს. პირდაპირ მითხრა: ქრისტიანები ადიხართ ტახტზე და შეიშენეთო!

**თეიმურაზი:** ვახტანგის მომხრეებიდან ქართლის გაწმენდასაც მოგვთხოვდა შაჰი?

**ერეკლე:** არავინ დაინდოთო!

**თეიმურაზი:** ერეკლე! მე და შენ შეიძლება სანატრელიც კი გაგვიხდეს კახთა მეფე კონსტანტინეს ბედი. ძნელია, შაჰის სამსახურში იყო და თან შენი ქვეყნის საქმე აკეთო.

**ერეკლე:** უარი რომ ვუთხრათ, ვახტანგის მსგავსად რუსეთში უნდა გადავიხვეწოთ!

**თეიმურაზი (გამოცოცხლდება):** მე ეგ არ მითქვამს! ჩვენ ტახტზე უფლის ნებით ავედით, შაჰი აქ არაფერს შუაშია; უფალმა დაუშვა ისიც, რომ ქრისტიანები ვართ. ცოტა გული კი გამიტყდა, შევშინდი, მაგრამ გაქცევა არც მიფიქრია. უშენობა დამეტყო, გამიჭირდა მარტოს. ახლა შენ დამიბრუნდი და ჩვენ უნდა აღვასრულოთ ის, რაც უჩვენოდ გადაწყდა ზეცაში.

**ერეკლე:** ცოტაც და შაჰი ირანში დამტოვებდა, თავისთან. შევატყვე კიდევ ბოლო წუთს მერყეობა დაეტყო. მითხრა: შენისთანები აქ მჭირდებაო!

**თეიმურაზი:** პაპაშენი ერეკლევ ხომ არ გამოუშვა შაჰმა საქართველოში, თავისთან დაიტოვა. ბიძაშენს, კონსტანტინეს, შემცველი არ გამოუჩნდა, თორემ არც იმას გამოუშვებდა.

**ერეკლე:** ნადირ-შაჰი ოსმალების წინააღმდეგ ომს აპირებს...

**თეიმურაზი (ფიქრებიდან გამოურკვევა):** ერეკლე, როგორ შეატყვე ირანი კარგა ხნით დააწინარა ნადირ-შაჰმა, თუ ისევ აირევა ქვეყანა?

**ერეკლე:** მამავ ბატონო! ნადირ-შაჰი ღაშქრობისას, ველზე, კარავში უფრო ღაღად გრძნობს თავს, ვიდრე სასახლეში. სასახლეში სულ შფოთავს, სულ ღალატი ელანდება. არა მგონია, ირანი დიდი ხნით დაწინარდეს, ბევრი და ძლიერი მტერი ჰყავს ნადირ-შაჰს, შეიძლება მოკლან კიდევ...

**თეიმურაზი (ფიქრებში წახული):** ეგაა ჩვენი უბედურება! ნადირ-შაჰს მოკლავან, ახალი შაჰი დაჯდება ტახტზე და მერე იმის დაკრულზე უნდა იცეკვო. ნადირ-შაჰი ოსმალეთთან ომს დაიწყებს და ქართლიცა და კახეთიც შეიძლება ოსმალეთს დარჩეს, მაშინ სულთნის გული უნდა მოიგო. ირანი თუ დაიქცა, რუსეთი ქართლში ბაქარის გამეფებას შეეცდება, რუსები ქართლში კი არა, კახეთშიც აღარ გაგვაჩერებენ! (ორივე ფიქრს მიეცემა).

### მესამე სცენა

თბილისი. ანჩისხატის ეზო. ეზოში სხედან კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და ერეკლე II. დრო: 1745 წელი.

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! ირანიდან დაბრუნების შემდეგ ვერ მოვახერხე თქვენთან შეხვედრა, თელავში შევეყოვნი სამეფო ს საქმეთა მოსაგვარებლად, მომიტყვეთ, რომ ვერ მოგინახულეთ.

**ანტონ I:** მე პირდაპირ საქმეზე გადავალ. ღმერთი შეგვეწია და თეიმურაზიცა და შენც ტახტზე ქრისტიანები ახვალთ. 1633 წლის შემდეგ ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ქართლისა და კახეთის სამეფოთა ტახტზე ქრისტიანი ბაგრატიონი დაბრძანდება. მე ღმერთმა დიდი ბედნიერება მარგუნა: ამდენი ხნის შემდეგ სვეტიცხოველში პირველად ვაკურთხებ ქრისტიანული წესით. ირანის შაჰს წყალობა ტყუილად არ მოუღია, შაჰს ვერაგული გეგმა ექნება მოფიქრებული. რასა ვგულისხმობ?

**ერეკლე:** ვხვდები, თქვენო უწმიდესობავ! მე და მამამ უკვე ვისაუბრეთ ამის თაობაზე.

**ანტონ I:** მისმინე, ერეკლე! ირანის შაჰი ვერ მოინელებს ვახტანგის კავშირს რუსეთთან და ქართლის საბოლოოდ განადგურებას მოიწადინებს. ამ ცოდვის ქმნას კი თეიმურაზისა და შენი ხელით მოინდომებს. ეს იქნება შაჰის წყალობის საფასური! ნუ გადაიხდით ამ საფასურს, თუ არ გინდათ, რომ თქვენი სახელი წყევლით მოიხსენიოს შთამომავლობამ. სამუდამო სატანჯველისათვის ნუ განწირავთ თავს! მე ვერ შეგინდობთ ამ ცოდვას!

**ერეკლე:** ნადირ-შაჰს რომ ძალა შესწევდეს, ქართლს ჩვენ გარეშეც მიწასთან გაასწორებდა. შაჰი ჭკვიანია, ოსმალეთთან ომის მომლოდინეს ქართლისათვის არ სცხელა, არც რუსეთთან სურს ურთიერთობის გაწყვეტა. ავღანელებიც დროებით დამშვიდნენ, ძალას დაემორჩილნენ, თუმცა ირანის ბატონობას არ შერიგებიან. არა მგონია, ირანის შაჰი ქართლის საქმეებში აქტიურად ჩაერიოს და ვახტანგისა და ბაქარის ერთგული თავადების დასჯა გვაიძულოს.

**ანტონ I:** დმერთმა გიშველოს, ცოტა დამამშვიდე. ქართლის დარბევა არ იქნება, ერეკლე! ხომ გახსოვს, ვახტანგ მეფე 1200 კაცით გადაიხვეწა რუსეთში, 600 კაცზე მეტი მეფეს ჩრდილო კავკასიაში ელოდა. ამ 1800 კაცში მარტო სარდლები და მეომრები არ ყოფილან. მეფეს თან გაჰყვა წიგნიერი ხალხი, სასულეირო და საერო პირები, ჩვენი ენისა და ისტორიის შესანიშნავად მცოდნე ადამიანები. დღეს ქართლში წიგნის გადამწერებიც კი აღარა გვყავს, ეკლესიებსა და მონასტრებში სკოლები აღარა გვაქვს, მალე წიგნიერი კაცის პოვნა საერთოდ გაჭირდება. ქართლის მეფეს თან გაჰყვა თითქმის ყველა ცნობილი დასტაქარი. ომი რომ ატყდეს, დაჭრილების მომვლელი, წამლის დამამზადებელიც არ გვეყოლება.

**ერეკლე:** კახეთიც ამ დღეშია, თქვენო უწმიდესობავ! ლეკებმა აიკლეს ქვეყანა.

**ანტონ I:** კახეთს პატრონი ჰყავს, ქართლს კი არა, კახეთის დარბევას შაჰი არ ითხოვს...

**ერეკლე:** ქართლის პატრონი თეიმურაზ მეფეა!

**ანტონ I:** ერეკლე! შენ ხომ იცი, რომ არც ვახტანგ მეფის მემკვიდრე, ბაქარ ბატონიშვილი, არც რუსეთში გადახვეწილი ბაქარის მომხრე თავადები და არც ქართლში დარჩენილები თეიმურაზის ქართლში გამეფებას არ



შეგეუბიან. ნადირ-შაჰმა ეს კარგად იცოდა და ამიტომაც უბოძა ქართლის ტახტი თეიმურაზს. შაჰს შეეძლო ქართლის ტახტზე ჩემი ძმა, მაჰმადიანი აბდულა-ბეგი დაესვა, მაგრამ ეს არ გააკეთა. იცი რატომ? აბდულა-ბეგი, მართალია, ისლამის რჯულზეა მოქცეული, მაგრამ ვახტანგ მეფის ძმისშვილია, მუსრანბატონია. ქართლის თავადებს ქრისტიან თეიმურაზს მაჰმადიანი აბდულა-ბეგი ურჩევნიათ! შაჰმა ეს კარგად უწყის და ამიტომაც უბოძა ქართლის ტახტი თეიმურაზს. ჩვენ შაჰს ჭკუით უნდა ვაჯობოთ და ისედაც გავერანებულ ქართლს ახალი განსაცდელი ავაცდინოთ. მე პირობას გაძლევ: არ დაგუშვებ ქართლის თავადების გამოსვლას თეიმურაზის წინააღმდეგ. შენ უნდა მომცე პირობა, რომ თეიმურაზი არ დაიწყებს ქართლის თავადების დარბევას!

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! მერწმუნეთ, მეფე თეიმურაზს არ სურს ქართლის დარბევა და არც დაარბევს. ბევრი რამ თვით ქართლის თავადებზეა დამოკიდებული. თუ მათ თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს, მეფე იძულებული გახდება, შეამბოხენი დასაჯოს. ამას ნადირ-შაჰი მოითხოვს. ბაქარის მომხრე ქართლის თავადებმა ეს უნდა გაიგონ, უნდა შეეგუონ იმას, რომ თეიმურაზი ქართლის მეფეა!

**ანტონ I:** ერეკლე! შენ იცი, რომ ამას ქართლის თავადები არასდროს შეგეუბიან. მე ვეცდები, რომ თავადები დავამშვიდო, შევაგუო იმ აზრს, რომ ამჯერად თავის შეკავება სჯობს, შენც შენი მხრივ ეცადე, რომ თეიმურაზმა ქართლის თავადების დასასჯელად მიზეზის ძებნა არ დაიწყოს. ქართლის თავადები რომ რუსეთში გადახვეწილი მეფის ერთგულები დარჩნენ, ხოლო ამჯერად ბაქარს მიიჩნევენ ტახტის კანონიერ მემკვიდრედ, ამაში მოულოდნელი და ცუდი არაფერია. ცუდი ის იქნებოდა, რომ დევნილი მეფე და მისი მემკვიდრე დაევიწყებინათ და ირანის შაჰის მიერ ტახტზე დასმულ თეიმურაზს გაჰგებოდნენ ფეხქვეშ.

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! რაც მე მითხარით, მეფე თეიმურაზს ნუ ეტყვით, მე მომანდეთ მამასთან მოლაპარაკება, ვეცდები დავარწმუნო.

**ანტონ I:** მადლობა უფალს! ერეკლე, შენი თანადგომის იმედი მქონდა და მიხარია, რომ ეს იმედი არ გამიცრუე! სადამოს ლოცვა იწყება, ეკლესიაში შევიდეთ (*ანტონი I ჯვარს გადასახავს ერეკლეს, ერეკლე მხარზე ემთხვევა, ორივენი ეკლესიისკენ მიდიან*).

## მეოთხე სცენა

სანკტ-პეტერბურგი. რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგია. კაბინეტში სხედან საგარეო საქმეთა კოლეგიის მაღალი რანგის მოხელე თავადი სერგეი გოლიცინი და ბატონიშვილი ბაქარ ვახტანგის ძე.

დრო: 1745 წელი.

**სერგეი გოლიცინი:** ბატონიშვილო! მოკლედ გაგაცნობთ პეტერბურგში თქვენი მოწვევის მიზეზს. ირანის შაჰმა ნადირმა ქართლის მეფედ დაამტკიცა თეიმურაზ ერეკლეს ძე, ხოლო კახეთის მეფედ – თეიმურაზის ვაჟი ერეკლე-ამრიგად, შეილახა ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის, ე. ი. თქვენი უფლებები – ქართლის ტახტი ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელმა მიიღო. საგარეო საქმეთა კოლეგიას და უფრო ზემოთაც (სერგეი გოლიცინი თვალებს ჭერს მიაპყრობს) აინტერესებთ, რა შედეგები მოჰყვება ამას? მე ამ საკითხის გარკვევა დამავალეს იმის გამო, რომ დიდხანს ვიმყოფებოდი ირანში, პირადად ვიცნობდი თქვენს სულკურთხეულ მამას, ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს, ვიცნობთ თქვენ, ქართლის ტახტის კანონიერ მემკვიდრეს.

**ბაქარი:** თავადო! ამას რაღა შედეგი უნდა მოჰყვეს? შედეგი უკვე მოჰყვა! ქართლისა და კახეთის ირანის შაჰის მფლობელობაში გადასვლა აღიარეს ოსმალეთის სულთანმა და რუსეთის იმპერატორმა. ახლა ირანის შაჰი ნადირი ისე იმოქმედებს, როგორც მოესურვება.

**სერგეი გოლიცინი:** ბატონიშვილო! მე მესმის თქვენი გულისტკივილი. მინდა დაგარწმუნოთ იმაში, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი დიდად აფასებს თქვენი მამის, ქართლის მეფის, სულკურთხეული ვახტანგის ერთგულებას, თქვენს ერთგულებას. ეს რომ არა, ჩვენი საუბარი არც შედეგობდა. ირანში ბევრი ისეთი მოვლენა მოხდა, რომელსაც არავინ ელოდა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ სრულიად უცნობი ხანი ნადირი დანგრეულ, დაშლილ ირანს ააღორძინებდა, ავღანელებსაც დაამარცხებდა და ოსმალეთის არმიას კუდიტ ქვას ასროლინებდა. ნადირი რომ არა, რუსეთი და ოსმალეთი ირანს გაიყოფდნენ და ვახტანგის ქართლში დაბრუნებასაც წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

**ბაქარი:** რამდენადაც მახსოვს ნადირ-შაჰს ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის მხარდაჭერა სჭირდებოდა. ნუთუ არ შეიძლებოდა რუსეთს ამით ესარგებლა და ჩვენ ქართლში დაგებრუნებინეთ?

**სერგეი გოლიცინი:** იხილებოდა ეს საკითხი, მაგრამ მეფე ვახტანგმა ვერ გაბედა ნადირ-შაჰთან წასვლა და სწორადაც მოიქცა. შეიძლებოდა ნადირ-შაჰს მეფე ვახტანგი სიკვდილითაც კი დაესაჯა. ნადირ-შაჰმა, რაც გაჭირვების უამს რუსეთს დაუთმო, შემდეგ ყველაფერი უკან წაიღო. დიდხანს ფიქრობდა მეფე ვახტანგი და ბოლოს უარი თქვა ირანში გამგზავრებაზე. ეს თქვენც კარგად უნდა გახსოვდეთ.

**ბაქარი:** (ნაღვლიანად) ყველაფერი მახსოვს!

**სერგეი გოლიცინი:** როგორ შეხვდებიან ქართლის თავადები თეიმურაზის ასვლას ქართლის სამეფო ტახტზე? რუსეთ-ირანის ურთიერთობის გართულების, ომის შემთხვევაში ქართლის თავადები თუ დაგიჭერენ მხარს ან თქვენ ან თქვენს მემკვიდრეს?

**ბაქარი:** ქართლის თავადები კანონიერი მეფისა და მისი მემკვიდრეების ერთგულნი იყვნენ და იქნებიან, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს. თქვენ მგონი იცით ვინ იყო შაჰის მიერ ქართლის ტახტზე დასმული თეიმურაზის მამა? ერეკლე ნაზარალიხნი, შაჰის გვარდიის სარდალი – ყულარდასარი. ირანში, აგანსაკუთრებით სატახტო ქალაქში, შაჰის ისე არ ეშინოდათ, როგორც ნაზარალიხანისა. დღე არ გავიდოდა, მისი ბრძანებით ვინმე რომ არ დაესაჯათ სიკვდილით. ბევრი რამ ისწავლა თეიმურაზმა მამისაგან და მათ შორის ყველაზე უკეთესად – ვერაგობა და დაუნდობლობა. ცხადია, თეიმურაზის შვილი ერეკლეს მამის კვალზე ივლის. ნადირ-შაჰთან ხანგრძლივი ურთიერთობით, ომებში მონაწილეობით ერეკლე მხოლოდ ჯარის გაძღოლას არ სწავლობდა. ნადირ-შაჰის კარზე, სატახტო ქალაქში თუ ლაშქრობის დროს, უამრავ ადამიანს სჯიდნენ სიკვდილით, ხშირად რამდენიმე ათეულ კაცს ერთად. გახსოვთ, როგორ დაუნდობლად მოექცა ნადირ-შაჰი თავის მოწინააღმდეგეებს? ცოცხალი არ გაუშვა არავინ. რას ისწავლიდა ერეკლე ნადირ-შაჰის კარზე? ვერაგობასა და დაუნდობლობას! ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა დღეში ჩააგდებენ თეიმურაზი და ერეკლე ჩემს ერთგულ თავადებს ქართლში? ბევრი სისხლი დაიღვრება.

**სერგეი გოლიცინი:** რამდენადაც ვიცით, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონი თქვენი ახლო ნათესავია...

**ბაქარი:** ნათესავი კი არა, ბიძაშვილია, მამაჩემის ძმის შვილი.

**სერგეი გოლიცინი:** კათოლიკოს-პატრიარქს დიდი ძალა აქვს, ბევრი შეუძლია!

**ბაქარი:** კათოლიკოს-პატრიარქი პოლიტიკაში არ ჩაერევა, მას თავისი მისია აქვს ერისა და ქვეყნის წინაშე. რამდენადაც ვიცი, ერეკლესა და კათოლიკოს-პატრიარქს არ უნდა ჰქონდეთ ცუდი ურთიერთობა, მაგრამ თეიმურაზი დაპირისპირებულია ანტონთან. თეიმურაზს ანტონის კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა არ სურდა, მაგრამ ვერას გახდა. თეიმურაზს წყენის დავიწყება არ შეუძლია, ადრე თუ გვიან იგი აუცილებლად იძიებს შურს.

**სერგეი გოლიცინი:** კარგი იქნება, მოსკოვში მყოფი თქვენი ერთგული თავადებიდან რამდენიმე კაცი რომ გააგზავნოთ ქართლში და იქაური თავადები გაამხნევოთ! ცხადია, ეს საიდუმლოდ უნდა მოხდეს. მათი მგზავრობის ხარჯებს საგარეო საქმეთა კოლეგია გაიღებს. სანდო ხალხი უნდა შეარჩიოთ. თუ რა უნდა აკეთონ ქართლში, ამის შესახებ მითითებებს მათ კოლეგია მისცემს. კოლეგიის, ისევე როგორც თქვენს, ინტერესებში შედის ქართლის თავადებთან მუდმივი კავშირი.

**ბაქარი:** სანდო ხალხი შეიძლება შეირჩეს, მაგრამ რამდენად უხიფათო იქნება მათი მოგზავრობა?

**სერგეი გოლიცინი:** ქართლში გაგზავნილ თავადებს რუსეთის პასპორტები ექნებათ, ვერც თეიმურაზი და ვერც ერეკლე მათ დაპატიმრებასა და დასჯას ვერ გაბედავენ, თუ საერთოდ გაიგეს მათი მოგზავრობის შესახებ.

**ბაქარი:** ცხადია, რუსეთის ქვეშევრდომებს თეიმურაზი და ერეკლე ვერ დასჯიან, მაგრამ თუ გაიგეს, რომელ თავადთან სტუმრობდნენ რუსეთიდან ჩასულები, სასჯელი არ ასცდებათ იმ საცოდავებს. ამიტომ გაფრთხილებთ: სანდო ხალხს მე შევარჩევ, მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, რუსეთიდან ჩასული თავადები კათოლიკოს-პატრიარქს არ უნდა შეხვდნენ. არ მინდა უწმიდესი რაიმე ხიფათს შეეყვროს. აკი ვთქვი, ისედაც მძიმე მისია დააკისრა მას ღმერთმა.

**სერგეი გოლიცინი:** ბატონიშვილო! მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი დიდად აფასებს ქართლის მეფის, სულაურთხეული ვახტანგის და თქვენი, ტახტის მემკვიდრის, ერთგულებას და ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაიცვას თქვენი კანონიერი უფლება.

**ბაქარი:** გმადლობთ, თავადო! (*ბაქარი გადის*).

## მესუთე სცენა

თბილისი. მეფის სასახლე. დარბაზში სხედან თეიმურაზ II და ერეკლე I. დრო:  
1861 წლის დამდეგი.

**თეიმურაზი:** ერეკლე! დღედაღამ ვფიქრობ, ღამეებს ვათენებ და ვერაფერი გამომირჩევია! ამიტომ გიხმე თელავიდან. ლეკიანობა ქვეყანას დააქცევს. თუ ლეკები არ ავლავებთ, მალე კახეთი გაუკაცრიელდება. ლეკებთან ომს ჯარი უნდა, რომელიც მუდმივად უნდა იდგეს საზღვარზე – ჭარ-ბელაქანსა და ჯავახეთში. ამ ჯარის შენახვა ჩვენ არ შეგვიძლია. თუ რუსეთის იმპერატორმა ორ-სამ ათასიანი ჯარი მოგვაშველა, ლეკების თარეშს აღვკვეთთ, იქნება ჭარ-ბელაქანიც დავიკავოთ, ლეკების ბუდე მოვშალოთ.

**ერეკლე:** მამავ ბატონო! მეც ბევრს ვფიქრობ, მაგრამ ვერაფერი გადამიწყვეტია. რუსეთის იმპერატორმა ჯარი კიდევაც რომ მოგვცეს, ირანის მბრძანებელი ქერიმ-ხანი გაგვინაწყენდება, სულთანიც შემფოთდება. თუ ჭარ-ბელაქანი არ დავიკავებთ და ლეკების ბუდე არ მოვშალებთ, ვერც რუსის ჯარი გვიშველის. ლეკის დენა ძნელია. მგონია, რომ რუსის ჯარი ლეკების სადევნელად არ გამოგვადგება. უმჯობესი იქნება, რუსეთის იმპერატორს ფული ვთხოვოთ და ჯარს ჩერქეზეთში მე ვიქირავებ. ათასი ან ათას ხუთასი ჩერქეზი საკმარისია, რომ ლეკები დავაშინოთ. ამ საქმეს დიდი ფული დასჭირდება. ჩერქეზები დიდ ჯამაგირს მოითხოვენ, ცხენებისა და იარაღის ნაწილი ჩვენ უნდა ვიყიდოთ, ბრძოლაში დაღუპული ჩერქეზების ოჯახებსაც ჩვენ უნდა ვუპატრონოთ, დაქირავებულ ჯარს ბინა და საკვები სჭირდება.

**თეიმურაზი:** ლეკები ჩერქეზებს რომ მოურიგდნენ?

**ერეკლე:** რუსები და ლეკები შეიძლება მორიგდნენ. არ გახსოვთ, როგორ მოურიგდა რუსთა ხელმწიფე ირანის შაჰს, როგორ გაწირეს მეფე ვახტანგი? ღმერთმა უწყის, რა დავალებას მისცემენ საქართველოში გამოსაგზავნ ჯარის სარდალს. მამავ ბატონო, თავსატეხი არ გაგვიხდეს ეგ რუსის ჯარი!

**თეიმურაზი:** ერეკლე! შენ ხომ იცი, რომ ჩვენი ჭარ-ბელაქანში შესვლა არც ირანს უნდა და არც ოსმალეთს. ჯერჯერობით ჩვენ ჭარ-ბელაქანს ვერ დავიჭერ, ლეკები ამის გარეშე უნდა ავლავებოთ. ერთადერთი გზა საზღვრების შეკვრაა. ლეკი საინგილოდან არ უნდა გამოვუშვათ, ახალციხისაკენ მიმავალი გზა უნდა გადავუკეტოთ. რამდენჯერმე ცუდ დღეს რომ დავაყრიოთ, შეშინდებიან ლეკები.

**ერეკლე:** მეც მანდა ვარ, მეფეც ბატონო! მაგრამ რუსის შემოყვანა ირანსა და ოსმალეთს გაანაწყენებს, ჩერქეზების რაზმის შემოსვლა კი შეიძლება ვერც კი გაიგონ; კიდევ რომ გაიგონ, ყურადღებას არ მიაქცევენ.

**თეიმურაზი:** რუსეთში მაინც უნდა წავიდე, ღმერთმა უწყის როდემდის გაგრძელდება ჩვენი ზავი ირანთან და ოსმალეთთან, რა მოხდება ხვალ. რუსეთის იმპერატორს პირველ რიგში ჯარი ვთხოვოთ. ჯარის გამოგზავნის საკითხი ასე ადვილად არ მოგვარდება, თუ საერთოდ გადაწყდა. ჯარის გამოგზავნის თაობაზე თუ უარი მივიღეთ, იქნება ფულით მაინც დაგვეხმარონ და ჩერქეზებიდან ჯარიც გადმოვიყვანოთ.

**ერეკლე:** რუსეთში ელჩობის გაგზავნა საჭიროა. უნდა გავარკვიოთ, რა მიზნები აქვს რუსეთს კავკასიაში, აპირებს თუ არა ირანთან ომს. თუ რუსეთი ირანთან ომს აპირებს, ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ, მეფე ვახტანგის მსგავსად, მოტყუებული არ დავრჩეთ. ირანთან ომის შემთხვევაში, რუსეთის ჯარი დარიალის გზით უნდა შემოვიდეს საქართველოში. თუ რუსეთი ირანთან ომს არ აპირებს, ჩვენ შორს უნდა დავიჭიროთ თავი რუსეთისაგან.

**თეიმურაზი:** რუსეთი თავის გეგმებს ბოლომდე არ გაამჟღავნებს, მოლაპარაკება ძნელი იქნება.

**ერეკლე:** მამავ ბატონო! მეფე ვახტანგივით არ უნდა ავჩქარდეთ. ისე არ მოხდეს, რომ რუსეთმა ჩვენზე განაწყენებული ირანისა და ოსმალეთის პირისპირ მარტო დაგვტოვოს. ჯარით დახმარების თაობაზე მაინცდამაინც თავს ნუ გამოიდებთ, ფულით თუ დაგვეხმარნენ, ესეც დიდი საქმე იქნება. ამჯერად ეს ვიკმაროთ. დიდი სიფრთხილე გვმართებს: ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ჭიდილში იმ კოზაკისა არ დაგვემართოს, ორ აქლემს შორის რომ აღმოჩნდა.

**თეიმურაზი:** ასე ვქნათ, შვილო! *(ორივენი დგებიან და საუბრით გადიან).*

## მეექვსე სცენა

სანკტ-პეტერბურგი. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგია. დიდ დარბაზში ფეხზე დგანან კოლეგიის თავმჯდომარე – გრაფი ნიკიტა პანინი, კოლეგიის მაღალი რანგის მოხელეები.

დრო: 1761 წელი.

*(ნიკიტა პანინი დაბალ ხმაზე ესაუბრება კოლეგიის ერთ-ერთ მოხელეს. ორივენი იღიმებიან, შემოდის კარის მინისტრი ამალითურთ).*

**კარის მინისტრი:** მეფე ივერიისა, მისი უდიდებულესობა თეიმურაზ ერეკლეს ძე!

*(დარბაზში შემოდის თეიმურაზ II ამალითურთ. ნიკიტა პანინი შუა დარბაზში მიეგებება, თავს დაუკრავს, თეიმურაზ II მიესალმება. ნიკიტა პანინი მეფეს სავარძლამდე მიაცილებს, თეიმურაზ II სავარძელში დაბრძანდება).*

**ნიკიტა პანინი:** გმადლობთ, ბატონებო! მოლაპარაკების დასრულებამდე მეორე დარბაზში დაგველოდეთ.

**თეიმურაზი:** (მას შემდეგ, რაც თარჯიმანი გადაუთარგმნის ნიკიტა პანინის ნათქვამს, ხმამაღლა ეუბნება თარჯიმანს): მოახსნეთ გრაფს, რომ ჩემთან დარჩებიან ელჩობის მდივანი და თარჯიმანი.

**ნიკიტა პანინი:** კეთილი!

*(თეიმურაზ II-ის, ნიკიტა პანინისა და რამდენიმე კაცის გარდა ყველანი ტოვებენ დარბაზს).*

**ნიკიტა პანინი:** თქვენო უდიდებულესობავ! მე ვერ დავესწარი თქვენს აუდიენციას მის იმპერატორობით უდიდებულესობასთან. იმედია, კმაყოფილი ბრძანდებით!

**თეიმურაზი:** მადლობა უფალს!

**ნიკიტა პანინი:** მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ დამავალა, დავწრილებით გავერკვე თქვენი სათხოვარის არსში. თუ ინებებთ, ყურადღებით გისმენთ!

**თეიმურაზი:** თქვენო მაღალმატებულეებავ, გრაფო! თქვენ კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ჩემი ქვეყანა მიიმე განსაცდელშია. მტერმა ჯერ ქვეყნის სასაზღვრო პროვინცია ჭარ-ბელაქანი წაგვართვა, შემდეგ იქ ლეკებმა დაიბუდეს და დიდი ხანია განუწყვეტლივ არბევენ კახეთსაც და ქართლსაც. იტაცებენ ადამიანებს და შემდეგ ახალციხეში ყიდიან. გავერანდა ქვეყანა,

სოფლები დაიცავდა. მე და ჩემმა შვილმა, კახეთის მეფე ერეკლემ, გადავწყვიტეთ დამხარება ერთმორწმუნე რუსეთს ვთხოვოთ.

**ნიკიტა პანინი:** დიას, ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტიანთა დახმარება რუსეთის მისიაა!

**თეიმურაზი:** ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ დავადგი თუ არა ფეხი რუსეთის მიწას, არ დავიმაღლავთ და გული გამიტყდა.

**ნიკიტა პანინი (გაკვირვებული):** რატომ?

**თეიმურაზი:** ჯერ იყო და ყიზლარის კომენდანტმა უარი გვითხრა, ნებართვა არა მაქვს და მოსკოვისაკენ ვერ გაგატარებთო. როგორც იქნა, ასტრახანამდე ჩავადწიეთ და ახლა ასტრახანის გუბერნატორს ვერაფერი შევასმინეთ. მე გვირგვინოსანი მეფე გახლავართ, მაგრამ ასტრახანის გუბერნატორი ზარბაზნებიდან სალუტის მიცემისაგან თავს იკავებდა. ჩვენ ვიცით, რომ სულკურთხული პეტრე დიდის დროიდან არსებობს წესი: თუ ქალაქში გვირგვინოსანი შედის, სალუტი უნდა მიეცეს.

**ნიკიტა პანინი:** დასანანი გაუგებრობაა!

**თეიმურაზი:** ამ გაუგებრობების გამო ელჩობამ დიდი დრო დაკარგა. ელჩობის შესახებ შეიტყვეს ირანსა და ოსმალეთში. ჯერ არ ვიცით, რუსეთი დაგვეხმარება თუ არა, მაგრამ შაჰი და სულთანი კი უკვე გაჯავრებულები არიან.

**ნიკიტა პანინი:** ყიზლარსა და ასტრახანში ერთი დღეც რომ არ დაგეკარგათ, ირანსა და ოსმალეთში ელჩობის შესახებ მაინც ყველაფერს შეიტყობდნენ. ირანისა და ოსმალეთის ქვეშევრდომები მრავლად არიან ყიზლარშიც, ასტრახანშიც, მოსკოვშიც, პეტერბურგშიც და თბილისშიც.

**თეიმურაზი:** იმპერატორთან შეხედრამ იმედი ჩამისახა.

**ნიკიტა პანინი:** ბრძანეთ, რას ითხოვთ?

**თეიმურაზი:** ლეკებისაგან ჩვენი ქვეყნის დასაცავად, საზღვრების შესაკვრელად აუცილებელია ორ-სამ ათასიანი რეგულარული ჯარი. ამის გარეშე ჩემი ქვეყანა გავერანდება, გაუკაცრიელდება. ჩვენ რუსეთის ჯარს მხოლოდ ლეკების წინააღმდეგ გამოვიყენებთ.

**ნიკიტა პანინი:** თქვენო უდიდებულესობავ! ახლა ევროპაში დიდი ომია. რუსეთი უკვე რამდენიმე წელია ებრძვის პრუსიას. ჩვენი ჯარები ბალტიისპირეთსა და პრუსიაში დგას, არ ვიცით, ომი რამდენ ხანს გაგრძელდება. ამიტომ ამჟამად საქართველოში ჯარის გაგზავნა, და ისიც



ორი-სამი ათასი კაცი, წარმოუდგენელია. ესეც არ იყოს, ქართლსა და კახეთში რუსეთის ჯარის გამოჩენა გააღიზიანებს ოსმალებსა და ირანს. პრუსიასთან ომის პირობებში რუსეთისათვის ძალზე არასასურველია, საშიშია ირანსა და ოსმალეთთან ურთიერთობების გაფუჭება. საქართველოში რუსეთის ჯარის გამოჩენას შეიძლება ძალზე ცუდი ამბები, ომიც კი მოჰყვეს.

**თეიმურაზი:** ყოველივე ეს მეც კარგად მესმის. თუ ჯარით ვერ დაგვეხმარებით, იქნებ ფულით მაინც დაგვეხმაროთ. ამ ფულით ჯარს ვიქირავებთ ჩერქეზეთში.

**ნიკიტა პანინი:** პრუსიასთან ომმა ხაზინა დააცარიელა. ომის დამთავრებამდე ფულით დახმარება შეუძლებელი იქნება, ომის დამთავრების შემდეგ იქნებ გამოინახოს სახსრები. მე ყოველ ღონეს ვიხმარ ომის დამთავრების შემდეგ, თუ ორი-სამი ათასი კაცი არა, ხუთასკაციანი რაზმი მაინც მოგაშველეთ არტილერიასთან ერთად. როგორც კი ომი დამთავრდება, მოლაპარაკებაც განვაახლოთ, მანამდე კი თქვენი ძალებით უნდა გაუძღვადეთ მტერს.

**თეიმურაზი:** თქვენო მაღალადმატებულებავ! ჩემი პეტერბურგში ჩამოსვლა უკვე ნიშნავს, იმას, რომ მე და ჩემმა შვილმა ომი გამოვუცხადეთ ირანსა და ოსმალეთს. არ ვიცი როდემდის შევძლებთ, ან შევძლებთ კი საერთოდ ირანთან და ოსმალეთთან ომის თავიდან აცილებას. თუ რუსეთი მფარველობას გაგვიწევს, მაშინ ჩვენ სხვაგვარად ვიმოქმედებთ, ამ მფარველობის გარეშე კი სხვა გზა უნდა ავირჩიოთ.

**ნიკიტა პანინი:** რუსეთი დიდი ხანია საქართველოს მფარველია და მომავალშიც შეასრულებს ამ მისიას. ჩვენ მხოლოდ პრუსიასთან მიმდინარე ომი გვიშლის ხელს, ჯარით ან ფულით დაგვეხმაროთ. რუსეთი საქართველოს განიხილავს ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნად, ესე იგი – თავის მოკავშირედ. მე მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ დამავალა თქვენთან შემეთანხმებინა კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედების გეგმა. თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ამის შესახებ ხვალ ვისაუბროთ.

**თეიმურაზი:** იმედია, ჩვენი დღევანდელი საუბარი, ისევე როგორც ხვალინდელი, საიდუმლოდ დარჩება.

**ნიკიტა პანინი:** ეს ჩვენს ინტერესებშიც შედის, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩება (ნიკიტა პანინი წამოდგება და თეიმურაზ II-ს თავს დაუკრავს. ორივენი გადიან).

### მეშვიდე სცენა

ყარაბაღი. ხანის სასახლე. დიდ დარბაზში ტახტზე ზის ქერიმ-ხანი. გვერდით უზის ერეკლე II. დრო: 1761 წელი.

**ქერიმ-ხანი:** ერეკლე-ხან! ძალიან კი გაგოცდი, ყურებს არ დაუჯერე, როცა მომახსენეს, რომ ქართლის მეფე, მამაშენი თეიმურაზი, რუსეთს გაემგზავრაო. რა მოხდა? ამდენი ხანია ვმეგობრობთ და ერთმანეთისაგან დამალული არაფერი გვქონია. მე რასაც დაგპირდით, ვასრულებ, თავი არ შემირცხვენია. შენი და მეფე თეიმურაზის სიტყვისა მჯერა, მაგრამ ახლა ეს მოულოდნელი ამბავი...

**ერეკლე:** ირანის მბრძანებლო! მეფე თეიმურაზსა და მე თქვენთვის მოცემული სიტყვა არ გაგვიტეხია. არ დაგიმაღავეთ, გადავწყვიტეთ რუსეთს ცოტაოდენი ჯარი ვთხოვოთ. თქვენც კარგად იცით, აიკლეს ლეკებმა ქვეყანა, ჩაიბუდეს ჭარ-ბელაქანში და უმოწყალოდ ძარცვავენ სოფლებს, იტაცებენ ადამიანებს. ქართლსა და კახეთში რომ საძარცავი შემოეღვეათ ერევნის, განჯისა და ყარაბაღის სახანოებს გაიგებენ ფეხქვეშ. ლეკები ტყვესა და ნაძარცვს ახალციხეში ყიდიან, იქაური ფაშა მფარველობს მათ. ფაშას მე ვედარაფერს დავაკლებ, ისევ ლეკები უნდა ავლაგმო. ჯარი უნდა ჩავაყენო ჭარ-ბელაქნის საზღვარზე, უნდა შეგკრა ახალციხე-ახალქალაქისაკენ მიმავალი ყველა გზა. ჩემი ჯარით მე ამას ვერ შევძლებ, იძულებული ვარ, ჯარი რუსს ვთხოვო. თუ ლეკები არ ავლაგმე, სოფლები სულ დაიცლება, გაიხიზნება ხალხი.

**ქერიმ-ხანი:** ერეკლე-ხან! ლეკები ირანსაც უქმნიან საშიშროებას, მაგრამ განა რუსის ჯარის შემოყვანა უფრო დიდ საფრთხეს შექმნის? ... გაიხსენე, რა ცუდი ამბები მოჰყვა პეტრე მეფის ჯარების შემოსვლას კასპიის ზღვის სანაპიროზე. აჯობებდა წინასწარ მოგველაპარაკა. მე ვენდობი შენ სიტყვას,

რომ რუსის ჯარს ირანის წინააღმდეგ არ გამოიყენებ, ან რატომ უნდა გამოიყენო?

**ერეკლე:** ვაჟკაცის სიტყვას გაძღვეთ!

**ქერიმ-ხანი:** მჯერა, ერეკლე-ხან! მაგრამ აბა დაფიქრდი: ოსმალეთის სულთანი ენდობა შენს სიტყვას? ან რატომ უნდა ენდოს? ჩვენ ძველი მეგობრები ვართ, სულთანი კი შენი მეგობარი არ არის, არც ჩემი... მე რომ რუსის ჯარის შემოყვანას მშვიდად შევხვდე, სულთანი იფიქრებს, ქერიმ-ხანმა და ერეკლემ ჩემს წინააღმდეგ პირი შეკრეს და რუსეთიც მიიმხრესო... კავკასიაში რუსეთის გამოჩენას სულთანი არ დაუშვებს... ცუდი ამბები მოხდება, ოსმალებმა შეიძლება ომიც დაიწყონ. თუკი ომში რუსეთის მეფე განზე გადგება, ოსმალეთს მე და შენ ვერ გავუმკლავდებით...

**ერეკლე:** ახალციხის ფაშა თუ დავარწმუნე, რომ რუსის ჯარი მხოლოდ ლეკების წინააღმდეგ მინდა გამოვიყენო, სულთანიც დამშვიდდება.

**ქერიმ-ხანი:** ერეკლე-ხან! შენ თუ ახალციხეში ტყვეთა ბაზარს მოსპობ, მე მოხარული ვიქნები. ნეტავ მეფე სოლომონმა ფოთიდან და რედუტ-კალედანაც აღკვეთოს ტყვეთა გაყვანა. შენ ხომ იცი, რომ ოსმალეთის იანიჩარის ჯარი ძირითადად კავკასიიდან გაყიდული ტყვეებით ივსება. იანიჩარის ჯარის დასუსტებას სულთანი არ დაუშვებს, ახალციხის ტყვეთა ბაზარს ოსმალეთი არ დათმობს, ლეკებს სულთანი არ დაგაჩაგვრინებს, ახალციხის ფაშას აგიმხედრებს... მე სულ იმას ვოცნებობ, ნეტავი ჭარ-ბაღაქანში ჩემი ხანი დამასმევინა და ლეკების თარეშისთვის ბოლო მომადებინა, მაგრამ ეს ისეთი საკითხია, ოსმალეთი უმალ ომს დაიწყებს.

**ერეკლე:** ირანის მბრძანებლო! ამის თაობაზე მეც ბევრი მიფიქრია, მაგრამ რა გავაწყო? ომი რომ დაიწყოს, ლაშქარს ვეღარ შევკრებ, დაიცალა ქვეყანა, გაუბედურდა ხალხი...

**ქერიმ-ხანი:** ერეკლე-ხან! დაიმახსოვრე: რაც მე გითხარი, რუსეთის მეფემაც კარგად იცის. რუსეთის მეფე ოსმალეთის სულთანს არ გადაიმტერებს და შენ ჯარს არ მოგცემს. ჩემმა ელჩმა რუსეთიდან მაცნობა, რომ დიდი ომია ევროპაში, დიდი სისხლი იღვრება. რუსეთს შენთვის არც სცალია, ტყუილად შემაშფოთე მეც და ოსმალეთის სულთანიც. ერთხელ ნადირ-შაჰმა მითხრა: რუსეთის რომ არ მეშინოდეს, ოსმალეთს ადვილად გავაძევებდი კავკასიიდანო. რუსეთი ძლიერ ქვეყანას ვერ იტანს: ვერც ირანს, ვერც ოსმალეთს, ვერც

საქართველოს. ეს არ დაივიწყო, ერეკლე-ხან! ხვალ განჯამდე გამაცილე. კიდევ ბევრი გვაქვს სასაუბრო (ორივენი დგებიან და საუბრით გადიან).

#### მერვე სცენა

სანკტ-პეტერბურგი. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგია. კაბინეტში სხედან კოლეგიის თავმჯდომარე გრაფი ნიკიტა პანინი და საქართველოში გამოსაგზავნი რუსეთის საექსპედიციო კორპუსის მეთაური გენერალი გრაფი გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენი.

დრო: 1769 წლის ივნისი

**ნიკიტა პანინი:** თქვენო აღმატებულება! გილოცავთ საქართველოში გასაგზავნი რაზმის მთავარ მეთაურად დანიშვნას! იმედია, გაამართლებთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნდობას!

**გენერალი ტოტლებენი:** დიდად გამადლობთ, თქვენო აღმატებულება!

**ნიკიტა პანინი:** თქვენ მიიღებთ წერილობით ინსტრუქციას, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება თქვენი უფლება-მოვალეობანი. რასაც ახლა გეტყვით, ჩვენ შორის უნდა დარჩეს, არ უნდა გაიგოს არავინ, არც სამხედრო და არც საგარეო საქმეთა კოლეგიაში, საერთოდ – არავინ. გახსოვდეთ, თქვენ მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ შეგიწყაღათ და სამსახურში დაგაბრუნათ ჩემი რჩევით. თქვენ იმოქმედებთ არა წერილობითი ინსტრუქციით, არამედ იმ ზეპირი ინსტრუქციით, რომლის შინაარსსაც ახლა გაგაცნობთ.

**გენერალი ტოტლებენი:** გისმენთ, ნიკიტა ივანოვიჩ!

**ნიკიტა პანინი:** ამჟამად საქართველო ოსმალეთსა და ირანს შორისაა გაყოფილი. დასავლეთი საქართველო ანუ იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებით ოსმალეთის ვასალია; აღმოსავლეთი საქართველო, ანუ ქართლ-კახეთის სამეფო, – ირანისა. დიდი ხანია, არცერთ ქართველ მეფეს ფორმალურადაც კი აღარ ემორჩილება სამხრეთი საქართველო – სამცხე და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო – აჭარა. ამ ტერიტორიას ოსმალეთის ფაშები განაგებენ. იმერეთის მეფე სოლომონი ოსმალეთის სულთანს ებრძვის და ამიტომ ხალხით დაგვეთანხმა ომში მონაწილეობაზე, ჩვენს მხარეს იბრძოდეს. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ოც წელზე მეტია, კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს ირანთან. მეგობრობდა ნადირ-შაჰთან და ამჯერადაც ირანის დღევანდელი მბრძანებელი ქერიმ-ხანიც სწყალობს. ერეკლე ომში მონაწილეობაზე ალბათ უარს იტყვის, ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდება. ამრიგად, ერეკლე ჯერჯერობით კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მომხრეა, რაც ჩვენ ძალზე გვიშლის ხელს.

**გენერალი ტოტლებენი:** ეს ის ერეკლე ხომ არ არის, რომლის შესახებაც პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი აღატაცებით ლაპარაკობდა.

**ნიკიტა პანინი:** სწორედ ის გახლავთ! მეტად ჭკვიანი, ეშმაკი და საშიში კაცი, ნადირ-შაჰის გამოზრდილია, უშიშარი სარდალია, დიდი სახელი აქვს მთელს კავკასიაში, დაშინებული ჰყავს მეზობელი ირანის ხანები, შესანიშნავად მოაგვარა ურთიერთობა ირანთან და ოსმალეთთან. მოკლედ გეტყვით: მეფე ერეკლე ტახტს უნდა ჩამოვაშორეთ და ტახტზე ჩვენთვის სასურველი კანდიდატი ავიყვანოთ, იქნებ დროებით თქვენც მოგიწიოთ ქვეყნის მართვა. გახსოვდეთ, ერეკლეს დიდი ხანია ებრძვიან ქართლის თავადები, რომლებიც მას მეფედ არ სცნობენ. ვიმეორებ, ერეკლეს ქართლის ტახტი უნდა წავართვათ და იქ ჩვენი კაცი დავსვათ მეფედ.

**გენერალი ტოტლებენი:** ჯარი დიდი ჰყავს მეფე ერეკლეს?

**ნიკიტა პანინი:** ზუსტი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ დადგენა შეიძლება. ვფიქრობ, თქვენი რაზმითა და ქართლის თავადების ჯარით ერეკლეს ტახტიდან გადაყენება შესაძლებელია.

**გენერალი ტოტლებენი:** როგორ უნდა დავუკავშირდე ქართლის თავადებს?

**ნიკიტა პანინი:** თვითონ დაგვიკავშირდებიან.

**გენერალი ტოტლებენი:** ჯარის გაზრდა რომ გახდეს საჭირო?

**ნიკიტა პანინი:** საჭიროების შემთხვევაში ჯარის რაოდენობას გაზრდით. გახსოვდეთ: მნიშვნელობა არა აქვს, რამდენ ციხეს წაართმევთ ოსმალებს, ჩვენთვის ამჯერად მთავარია მეფე ერეკლეს ტახტიდან გადაყენება, უკიდურეს შემთხვევაში, ქართლიდან განდევნა. ერეკლე ხელს უშლის ჩვენი კავკასიური პოლიტიკის განხორციელებას. იმოქმედეთ გაბედულად, არ შეშინდეთ. გახსოვდეთ, მეფე ერეკლე გამოცდილი, ჭკიანი და ეშმაკი ადამიანია, ადვილად ვერც მოატყუებ და ვერც შეაშინებ! სანამ საქართველოში გაემგზავრებოდეთ, კიდევ შევხვდებით. გმადლობთ! (*გენერალი ტოტლებენი წამოდგება, ნიკიტა პანინს თავს დაუკრავს და გადის*).

### მეცხრე სცენა

თბილისი. მეფის სასახლე, დარბაზში სხედან ერეკლე II და კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I. დრო: 1769 წლის ივლისი.

**ერეკლე:** ალავერდში ვეღარ ჩამოგისწართ, თქვენო უწმიდესობავ, თელავში შევეოვნდი, ღვთის წყალობით ხომ კარგად ბრძანდებით?

**ანტონ I:** მადლობა უფალს!

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! ჩვენი საუბრის შინაარსი საიდუმლოდ უნდა დარჩეს, უახლოეს ხანებში ისეთი გადაწყვეტილების მიღება მომიხდება, რომელიც შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. თქვენთან თათბირის გარეშე მე არ შემიძლია რაიმე გადავწყვიტო.

**ანტონ I:** შევთხოვ უფალს, რომ გამცნოს გზა ჭეშმარიტი, უფლის გზით გაატაროს!

**ერეკლე:** გასულ წელს რუსეთის იმპერატორმა ომი დაუწყო ოსმალეთის სულთანს. ჩვენ ეს ომი არ გვეხება, ჩვენ სულთანთან კარგა ხანია მშვიდობა გვაქვს. იმპერატორი ეკატერინე ჯარს უგზავნის იმერეთის მეფე სოლომონს. ჯარი დარიალის ხეობით შემოვა. შეიძლება რუსეთის ხომალდები შავი ზღვის ციხე-სიმაგრეებსაც მიადგეს, რომელნიც ახლა ოსმალეთს უპყრია. მეფე სოლომონმა შეიძლება ამ ჯარით ფოთი, რედუტ-კალე და სოხუმი დაიკავოს. ცხადია, იმერთა მეფე შეეცდება ქუთაისის, ბაღდადის, შორაპნისა და ცუცხვათის ციხეებიდანაც განდევნოს ოსმალეთის გარნიზონები. თუ ეს მოხდა, დადიანი, გურიელი და შერვაშიძე შეშინდებიან და იმერეთის მეფეს ყურმოჭრილ ყმებად დაუდგებიან.

**ანტონ I:** ეს ხომ ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა, ჯერჯერობით აუხდენელი ოცნება...

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! იმერთა მეფის გაძლიერება და ციხეებიდან ოსმალების განდევნა დიდი საქმეა, მაგრამ მე სხვა რამ მაფიქრებს...

**ანტონ I:** რა, შვილო ჩემო?

**ერეკლე:** უფრო სავარაუდოა, რომ დარიალის გზით შემოსული რუსის ჯარი, რუსეთის გეგმის თანახმად, იმერთა მეფემ სამცხის ციხეების დასაკავებლად გამოიყენოს. თუ სამცხე იმერთა და რუსთა ლაშქარმა დაიკავა, ცხადია, სამცხე იმერთა მეფეს დარჩება.

**ანტონ I:** რატომ ფიქრობ, რომ რუსთა და იმერთა ლაშქარი ფოთის, რედუტ-კალესა და სოხუმის დაჭერას არ ეცდება და მაინცდამაინც სამცხის ციხეებს შეუტევს?

**ერეკლე:** რუსეთის იმპერატორმა იცის, რომ სამცხის დაჭერა ჩვენი დიდი სურვილია. ამიტომ ვფიქრობ, იმერთა მეფეს სამცხეზე ლაშქრობას ურჩევს და დაითანხმებს კიდევ. ამით რუსი ჩემსა და სოლომონს შორის განხეთქილებას ჩამოაგდებს.

**ანტონ I:** რაში სჭირდება რუსეთის იმპერატორს შენი და სოლომონის გადამტერება?

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! რუსის მიზანი ძნელი ამოსაცნობი არ არის. იმპერატორმა ეკატერინემ იცის, რომ მე სულთანთან კარგა ხანია მშვიდობა მაქვს და ომში არ ჩავებმები. ჩემი ომში ჩაბმა სულთანსაც აღაშფოთებს და არც ირანის მბრძანებელ ქერიმ-ხანს ესიამოვნება. თუ მე გავჯიქდები, რუსი პირდაპირ მეტყვის: ან ომში ჩაები, ან სამცხეს იმერთა მეფეს მივცემო. მე ამას წინასწარ ვგრძნობ. რუსს დიდი ძალა აქვს, იმერთა და რუსთა ლაშქარს სამცხის ციხეების დაჭერა არ გაუჭირდება.

**ანტონ I:** იმერთა მეფე სოლომონს უნდა მოველაპარაკოთ. დავარწმუნოთ, რომ რუსს მისი გაძლიერება არ სურს, ნუ აპყვება რუსის რჩევას.

**ერეკლე:** იმერთა მეფეს ძალიან უჭირს. ქუთაისის, ბაღდადის, შორაპნის, ცუცხვათის ციხეებში ოსმალთა ჯარი დგას. რუსთა ჯარის გარეშე მეფე სოლომონი ამ ციხეებს ვერ დაიბრუნებს, ამიტომაც იმერთა მეფე იძულებული იქნება, რუსის რჩევა მიიღოს; რასაც ეტყვიან, იმას გააკეთებს. თუ რუსმა სოლომონს უთხრა, ფოთზე, რედუტ-კალესა და სოხუმზე ვილაშქრებთო, – ილაშქრებს; თუ სამცხეში ლაშქრობა შესთავაზეს, ამაზეც თანახმა იქნება.

გარდა ამისა, რუსის ჯარის გარეშე მეფე სოლომონი ვერც ფოთს შეინარჩუნებს და ვერც ახალციხეს. ასე რომ, იმერეთს რუსი ომშიც სჭირდება და ომის შემდგომაც არანაკლებ გამოადგება.

**ანტონ I:** მაშასადამე, იმერთა მეფესთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს?

**ერეკლე:** არა აქვს! რუსმა დაგვასწრო, ახლა უკვე გვიანია.

**ანტონ I:** რუსის მხარეზე თამაშში ჩაბმა საშიშია, ღმერთმა უწყის, რითი დამთავრდება ოსმალეთისა და რუსეთის ომი...

**ერეკლე:** რითაც არ უნდა დამთავრდეს, სულ ერთია – ოსმალეთსა და ირანს მტრად მოვიკიდებთ. ოსმალეთი ლეკებს აგვიმხედრებს და ქვეყანას დაგვიტყვევს, ქერიმ-ხანიც მიცემული სიტყვის გატეხას არ გვაპატიებს. ოც წელზე მეტია ირანთან და ოსმალეთთან მშვიდობა გვაქვს, ახლა კი გამოდის, რომ რუსეთი გვაიძულებს, დავარდვიოთ ეს მშვიდობა. ჩვენ ოსმალეთთან და ირანთან ომი არ შეგვიძლია.

**ანტონ I:** გახსოვთ, როგორ აირია ქვეყანა მეფე ვახტანგის რუსეთთან კავშირის გამო? ოსმალთ, სპარსი და რუსი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დიდ ლუკმას იგდებდა ხელთ.

**ერეკლე:** მახსოვს. ამ ბრძოლას შეეწირა ბიძაჩემი – კახთა მეფე კონსტანტინე და ბიძათქვენი – ქართლის მეფე ვახტანგი. ერთხელ ქერიმ-ხანისათვის ნადირ-შაჰს უთქვამს: რუსეთს არ სურს იხილოს არც ძლიერი ოსმალეთი, არც ძლიერი ირანი და არც ძლიერი საქართველო.

**ანტონ I:** ხელმწიფე! ერთმორწმუნე რუსეთი დიდი ძალაა. როგორც ჩანს, რუსი თავს არ ანებებს კავკასიისათვის ბრძოლას. ეს ბრძოლა ჩვენთვის ერთხელ უკვე ცუდად დამთავრდა, შეიძლება ცუდად დამთავრდეს მეორედაც. მიუხედავად ამისა, მე ცოდვიან გზას ვერ ვირჩევ: უსჯულოთა და ქრისტიანთა ომში უსჯულოს მხარეზე ვერ დავდგები, ქრისტიანებს ვერ ვუღალატებ! ესეც იცოდეთ: მე და შენ განსხვავებული მისია დაგვაკისრა უფალმა. შენ მეფე ხარ, ქვეყნის პატრონი, გვირგვინოსანი, ქვეყანა და ხალხი შენ ჩაგაბარა ღმერთმა და შენვე აგებ ღვთის წინაშე პასუხს! შენს გულში ჩაიხედეთ, კიდევ იფიქრებ, ბევრი იფიქრე და ისე გადაწყვიტე, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის იქნება უკეთესი. მე ღმერთს შევევედრები გონება გაგინათოს და ისეთი გზა გაპოვნინოს, რომ მართალი დარჩე ღმრთისა და ქვეყნის წინაშე! მე მეტს ვერაფერს გეტყვი (*კათოლიკოს-პატრიარქი წამოდგება, ჯვარს გადასახავს ერეკლეს, ერეკლე მხარზე ემთხვევა. ორივენი გადიან.*)



## მეათე სცენა

თბილისი. მეფის სასახლე. დარბაზში სხედან ერეკლე II და ლევან ბატონიშვილი. დრო: 1770 წლის დამდეგი.

**ერეკლე:** ლევან! პირობა დავდეთ, ახლა მას ვეღარ დავარღვევ. გული რაღაც ცუდს მითქვამს. ახალციხეზე ლაშქრობა ჯავახეთის გზით აჯობებდა, ახალქალაქს დავიკავებდით და ახალციხის ფაშას ზურგში მოვექცეოდით. დაიჟინა რუსის გენერალმა: სურამიდან მტკვრის ხეობით ვილაშქროთო. მეფე სოლომონმაც მხარი დაუჭირა. კახეთის ლაშქარი ჯერ თბილისში უნდა ჩამოვიდეს, მერე სურამში. დაიღლება ლაშქარი. ჯავახეთის გზით ქვეითიც და ცხენოსანიც ნაკლებად დაიღლებოდა, სურსათსაც იქ ადვილად ვიშოვიდით.

**ლევანი:** მამავ ბატონო! მე აღრეც მოგახსენეთ, რომ აჯობებდა ომში მონაწილეობისაგან თავი შეგვეკავებინა. შეიძლება ახალციხე ვერ დავიკავოთ და სულთანიც გავანაწყენოთ. არც ქერიმ-ხანს ესიამოვნება რუსის ჯართან ერთად ჩვენი ახალციხეზე ლაშქრობა. გარდა ამისა, არ მომწონს ქართლის თავადების საიდუმლო კავშირი რუსის გენერალთან.

**ერეკლე:** ლევან! ომში იმერთა მეფე რომ არ ჩაბმულიყო, არც მე ვიბრძოლებდი, მით უმეტეს, რომ ახალციხის ფაშასთან ჩვენ ზავი გვაქვს. ორმა მიზეზმა მაიძულა ასე მოვექცეულიყავი. თუ ახალციხესა და ახალქალაქს დავიკავებთ, ლეკების თარეშს ავლავმავთ. ლეკები ტყვეს და ალაფს ვერსად გაყიდიან. მერე მეორეც: ომში მონაწილეობაზე რომ უარი მეთქვა, შეიძლება აწყური, ხერთვისი, ახალციხე და ახალქალაქი იმერთა და რუსთა ლაშქარს დაეკავებინა. მაშინ სამცხე-საათაბაგოს რუსების დახმარებით იმერთა მეფე დაიჭერდა. რუსი სწორედ ამას უმიზნებს. რუსს არ მოსწონს ჩვენი კარგი ურთიერთობა ქერიმ-ხანთან.

**ლევანი:** მეფე სოლომონს სამეგრელოსა და გურიის დაჭერა უჭირს, სამცხეს როგორ დაეპატრონებოდა?

**ერეკლე:** რუსის ჯარი დიდი ძალაა, დადიანისა და გურიელის დაშინება კი ადვილი საქმეა.

**ლევანი:** იმერეთიდან სამცხეში ლაშქრობა მეფე სოლომონისათვის უმჯობესი უნდა ყოფილიყო. რატომ დაეთანხმა ასე ადვილად იმერთა მეფე რუსის გენერალს მტკვრის ხეობით ლაშქრობაზე?

**ერეკლე:** ჩვენ ხომ არ ვიცით, რა მოილაპარაკეს ქუთაისში მეფე სოლომონმა და გენერალმა ტოტლებენმა.

**ლევანი:** იმერთა ლაშქრის ბრძოლაში მონაწილეობა თითქმის გადაწყვეტილი იყო. რატომ არ მოდის მეფე სოლომონის ლაშქარი?

**ერეკლე:** მეფე სოლომონი დადიანთან და გურიელთან ვერ შეთანხმდა, შეიძლება მათ შორის ომიც დაიწყო.

**ლევანი:** რუსეთის ჯარის იმერეთში გადასვლას უნდა შეეშინებინა დადიანი და გურიელი.

**ერეკლე:** იქნებ შეშინდნენ კიდევ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით!

**ლევანი:** იქნებ მე გადავსულიყავი იმერეთში.

**ერეკლე:** არა! შენ აქ მჭირდები. რუსის გენერალი ცბიერი კაცია, მისი ნდობა არ შეიძლება. დანამდვილებით არ ვიცით, რა მოილაპარაკეს გენერალმა და ქსნის ერისთავმა. ეს კი ნათელია: სურამიდან მტკვრის ხეობით ახალციხეზე ლაშქრობა ამ მოლაპარაკების შედეგია. მახეს ხომ არ გვიგებენ? რამდენი კაცის გამოყვანა შეგვიძლია ლაშქარში?

**ლევანი:** შვიდი-რვა ათასის, გარდა ამისა, ოთხი ათასი კაცი თქვენი ბრძანებით ყარაბაღში გაგვზავნე.

**ერეკლე:** რა როდენობის ლაშქარი ჰყავს ახალციხის ფაშას?

**ლევანი:** ლეკებს თუ არა ჩავთვლით, ოთხი-ხუთი ათასი.

**ერეკლე:** შევძლებთ ამ ძალებით ახალციხის ფაშის დამარცხებას?

**ლევანი:** ფაშას რუსის გარეშეც კუდიტ ქვას ვასროლინებთ, მაგრამ ციხეებს ვერ ავიღებთ; ფაშა კი ბრძოლის ველზე არ გამოვა, ციხეებში გამაგრდება. ჩვენდა ბედად, არც აწყურის, არც ხერთვისის და არც ახალციხის გარნიზონს მძიმე ზარბაზნები არა აქვთ.

**ერეკლე:** ლევან! რუსის გენერალი მშიშარა კაცი ჩანს. ჩვენ ჩვენი თავის იმედად უნდა ვიყოთ. თუ ფაშა ციხიდან გამოვიტყუეთ, ღვთის შეწევნით ვძლევთ ოსმალს. თუ ღმერთმა გაგვწირა და ბრძოლაში დავმარცხდით, შენ შენი რაზმით ჯავახეთის გზით სასწარფოდ თბილისს დაბრუნდი, ყარაბაღიდან ჯარი გამოიხმე და თბილისში გამაგრდი. ახლა წადი, ხომ გახსოვს, დღეს ქალაქში კახთა ლაშქარი შემოდის, დახვდი. (ლევანი გადის. ერეკლე ფიქრს მიეცემა).

მეთერთმეტე სცენა

სანკტ-პეტერბურგი. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგია. კაბინეტში სხედან  
სენატორი ივანე ბაკუნინი და თავადი ზაალ ორბელიანი. კუთხეში პატარა  
მაგიდასთან ზის

კოლეგიის მდივანი, მის გვერდით – მთარგნელი.

**ივანე ბაკუნინი:** თავადო! ჩვენ წავიკითხეთ თქვენი წერილი, დიდ  
მადლობას შემოგწირავთ. გვინდოდა უფრო დაწვრილებით გავცნობოდით  
ვითარებას. რა მოხდა ახალციხეზე ლაშქრობისას და ლაშქრობის შემდეგ?  
საერთოდ, ჩვენ წინააღმდეგობრივი ცნობები გვაქვს საქართველოში რუსეთის  
ჯარის მეთაურის – გენერალ ტოტლებენის – მოღვაწეობის თაობაზე,  
სოლომონთან და ერეკლესთან მისი ჯარის დამოკიდებულების თაობაზე.  
ალბათ თქვენ უფრო მეტი იცით, ბევრი რამ ხომ თქვენ თვალწინ მოხდა.  
იქნებ გაიხსენოთ და დაწვრილებით გვიამბოთ.

**ზაალ ორბელიანი:** ქართლის ტახტი მეფე ერეკლეს ირანის შაჰმა უბოძა.  
მაშინ რუსეთში გადმოსხვეწილი ქართლის მეფე ვახტანგი უკვე გარდაცვლილი  
იყო, მაგრამ ცოცხალი გახლდათ ტახტის მემკვიდრე, მეფის ძე ბაქარი.  
ქართლის თავადებმა რუსეთის იმპერატორს წერილი გამოგუგზავნეთ და  
ბაქარის გამეფებაში დახმარება ვთხოვეთ. ჩვენი თხოვნა შეწყნარებული არ  
იქნა. ქართლის თავადები ერეკლეს გამეფებას არ შერიგებინან. რუსეთისაგან  
შემწეობა რომ ვერ მივიღეთ, ქართლის ტახტზე ვახტანგ მეფის ძის, პაატა  
ბატონიშვილის, აყვანა განვიზრახეთ. ვიდაცამ გაგვცა. პაატა ბატონიშვილი  
და რამდენიმე თავადი ერეკლემ სიკვდილით დასაჯა. რუსის ჯარის  
შემოსვლის წინა ხანებში ჩემმა ნათესავმა, დავით ქსნის ერისთავმა, მაცნობა,  
რომ ქართლის თავადების სათხოვარი გენერალ ტოტლებენისათვის უნდა  
გადაგვეცა და მისი დახმარებით გვემოქმედა.

**ივანე ბაკუნინი:** ვინ აცნობა თქვენს ნათესავს, რომ გენერალს უნდა  
შეხვედროდა?

**ზაალ ორბელიანი:** რუსეთის სამსახურში მყოფმა ერთმა ქართველმა  
ოფიცერმა, ყიზლარიდან ჩამოვიდა.

**ივანე ბაკუნინი:** წერილი გადასცა თუ ზეპირად მოახსენა დანაბარები?

**ზაალ ორბელიანი:** ზეპირად უთქვამს.

**ივანე ბაკუნინი:** იმ ქართველმა ვისი სახელით გადასცა თქვენს ნათესავს  
დანაბარები?

**ზაალ ორბელიანი:** ყიზლარის კომენდანტის სახელით.

**ივანე ბაკუნინი:** სადაა ახლა ყიზლარიდან გაგზავნილი ქართველი?

**ზაალ ორბელიანი:** ერეკლეს კაცებმა შეიპყრეს, ცოცხალია თუ მკვდარი, არ ვიცი.

**ივანე ბაკუნინი:** შეხვდით გენერალს?

**ზაალ ორბელიანი:** ერეკლეს კაცებმა გენერალთან შეხვედრის საშუალება არ მოგვცეს. ერთ დღეს გენერალი თვითონ ესტუმრა ჩემს ნათესავს, დავით ქსნის ერისთავს.

**ივანე ბაკუნინი:** რაზე მოილაპარაკეს გენერალმა და დავით ერისთავმა?

**ზაალ ორბელიანი:** ერეკლე ტახტიდან უნდა გადაგვეყენებინა. გენერალს უთქვამს, უმჯობესი იქნებოდა, თუ მეფე ბრძოლაში დაიღუპებოდა. ამის შემდეგ თბილისს, გორს, სურამს, თელავს, ყვარელს, დუშეთს რუსისა და ქართლის თავადების ჯარი დაიკავებდა.

**ივანე ბაკუნინი:** ვინ იცოდა კიდევ ამ გეგმის თაობაზე?

**ზაალ ორბელიანი:** გენერალ ტოტლებენის, დავით ერისთავისა და ჩემ გარდა არავინ.

**ივანე ბაკუნინი:** ერეკლეს გადაყენების ან ბრძოლაში მისი დაღუპვის შემდეგ მეფე ვინ უნდა ყოფილიყო?

**ზაალ ორბელიანი:** ქართლის თავადები ერთ აზრზე ვართ: ტახტზე ალექსანდრე ბაქარის ძე უნდა ასულიყო. გენერალი ტოტლებენს თავი შეუკავებია, ამ საკითხზე პეტერბურგიდან მითითებას ველოდებით.

**ივანე ბაკუნინი:** რა მოხდა ახალციხეზე ლაშრობისას?

**ზაალ ორბელიანი:** მე გენერალს სურამშივე ვუთხარი, რომ ერეკლეს ბრძოლაში დაღუპვის იმედად არ ყოფილიყო. ერეკლე სურამშივე უნდა შეგვეპყრო და ყიზლარში გაგვეგზავნა. გზა სურამიდან ყიზლარამდე ქართლის სათავადოებზე გადის და ტყვეს ადვილად გადავიყვანდით.

**ივანე ბაკუნინი:** გენერალი დაგეთანხმათ?

**ზაალ ორბელიანი:** დამეთანხმა, მაგრამ სურამში ერეკლეს ჯარი რომ გამოჩნდა, შეეშინდა. ერეკლემ იგრძნო, გენერალი რომ შეშინდა და კიდევ უფრო დააფრთხო: ორი ათასი კაცი მალე მოადწევს სურამს, ხოლო ოთხი ათასი ყარაბაღში მყავს გაგზავნილი.

**ივანე ბაკუნინი:** რა მოხდა აწყურის ციხესთან?

**ზაალ ორბელიანი:** ჩვენი მოლაპარაკების თანახმად, გენერალმა ტოტლებენმა აწყურის ალყის დროს ერეკლე მიატოვა და სურამში დაბრუნდა.

დარწმუნებული იყო, რომ ერეკლე დაიღუპებოდა და მისი ლაშქარიც განადგურდებოდა. როგორც კი ერეკლეს დაღუპვის ცნობა მოვიდოდა, რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება უნდა დაგვეწყო. უნდა დაგვეკავებინა სურამის, გორის, ქსნის ციხეები. ასპინძასთან ერეკლეს გამარჯვებამ გენერალი ისე შეაშინა, რომ სასწრაფოდ იმერეთში გადავიდა.

**ივანე ბაკუნინი:** თქვენ ქართლის თავადების სათხოვარი ჩამოიტანეთ?

**ზაალ ორბელიანი:** დიახ. სანამ რუსის ჯარი საქართველოშია, მანამ ერეკლეს ქართლის ტახტი უნდა წავართვათ. თუ რუსის ჯარი იმერეთიდან გადმოვა, ყიზლარიდან დაძრული რუსის ჯარის სამი ასეული დუშეთსა და მცხეთას შორის ჩადგება, რუსისა და ქართლის ჯარით ერეკლეს თბილისიდან გავაქცევთ. თუ იმპერატორს მეფედ ალექსანდრე ბაქარის ძე სურს, ჩვენ თანახმა ვართ; გინდ სხვა ვინმე დასვით მეფედ, გინდ იმერეთის მეფეს სოლომონს მიეცით ტახტი.

**ივანე ბაკუნინი:** განჯისა და ყარაბაღის ხანები რომ დაეხმარონ ერეკლეს? თქვენ კარგად მოგეხსნებათ, რომ ირანის მბრძანებელი ქერიმ-ხანი ერეკლეს გადაყენებას ირანის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიღებს. გამოდის, რომ რუსეთს ირანის წინააღმდეგ მოუწევს ომში ჩაბმა. ეს კი ოსმალეთთან ომის დროს დაუშვებელია.

**ზაალ ორბელიანი:** მაშ, რა ვიღონოთ?

**ივანე ბაკუნინი:** ოსმალეთთან ომის დამთავრებამდე რუსეთი ირანის გაღიზიანებას მოერიდება. ომის დამთავრებას უნდა დაველოდოთ.

**ზაალ ორბელიანი:** ქართლის თავადებს გული გაუტყდებათ.

**ივანე ბაკუნინი:** თქვენ უნდა დააიმედოთ ისინი, აუხსნათ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ კანონიერ ბრძოლას. გმადლობთ თავადო! (*ზაალ ორბელიანი თავს დაუკრავს და გადის*).

**ივანე ბაკუნინი** (*კოლეგიის მდივანს*): მაკარ! თავადის მონათხრობიდან ამოკრიფეთ ადგილები ქართლის თავადების შეთქმულების შესახებ. ქართლის თავადების თხოვნაც რუსულად თარგმნეთ, დედანი დაიტოვეთ. ყველაფერი ეს სასწრაფოდ მეფე ერეკლეს უნდა გავუზღავნოთ თბილისში (*მდივანი თავს დაუკრავს და გადის*).

მეთორმეტე სცენა

თბილისი. მეფის სასახლე. დარბაზში სხედან: ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და ლევან ბატონიშვილი. დრო: 1770 წლის აპრილის მიწურული.

**ანტონ I:** უფლის ნებით, მტერიც სძლიეთ და უვნებელნიც დაბრუნდით ლაშქართან ერთად! მადლობა უფალს!

**ერეკლე:** თქვენი ლოცვა-კურთხევით, თქვენო უწმიდესობავ! იმედი მქონდა, თქვენ რომ თბილისში ბრძანდებოდით!

**ანტონ I:** რა მოხდა, რა ბზიკმა უკბინა რუსის გენერალს? ეგ კაცი პირველი დანახვისთანავე არ მომეწონა. ისე ეჭირა თავი, ვითომ მის წინაშე მეფე კი არა, ვიღაც მდაბიო იდგა. მეც მოჩვენებითი თავაზიანობით მექცეოდა.

**ერეკლე:** რუსის გენერალი არც მე მომეწონა, მაგრამ რაღა უნდა მექნა, ჯარი უკვე შემოსული იყო დარიალის ხეობაში, უკან ხომ ვეღარ გავაბრუნებდი.

**ანტონ I:** როგორ ფიქრობ, რა მიზნები ჰქონდა გენერალს?

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! ნუ მიწყენთ, მაგრამ გენერალი ქართლის თავადებთან შეთანხმებით მოქმედებდა, მიზანი კი ჩემი ტახტიდან გადაყენება იყო.

**ანტონ I:** ხელმწიფე! ცოდვას ნუ იტვირთებ. ყველაფერი გამოიძიე, თუ მოენეთა მონათხრობს უგდე ყური?

**ერეკლე:** გამოვიძიეთ, გულდასმით გამოვიძიეთ! აი, ბატონიშვილი მოგახსენებთ...

**ლევანი:** თქვენო უწმიდესობავ! ჯერ კიდევ რუსის ჯარის შემოსვლამდე ყიზლარის კომენდანტმა დავით ქსნის ერისთავს კაცი გამოუგზავნა. ჩვენ იგი შევიპყართ, მან ბევრი არაფერი იცოდა. ეს კი გვითხრა: ყიზლარის კომენდანტმა დამავალა, დავით ერისთავს გადაეცა, რუსის ჯარი რომ შემოვა, გენერალს დაუკავშირდეს და ქართლის თავადების სათხოვარიც მას გადასცეს.

**ანტონ I:** რა სათხოვარი უნდა გადაეცა?

**ლევანი:** თქვენო უწმიდესობავ! ქართლის თავადების სათხოვარი ვახტანგ მეფის რუსეთში გადახვეწის შემდეგ ერთი და იგივეა – ქართლის სამეფოს ტახტზე ვახტანგ მეფის შთამომავლის აყვანა.

**ანტონ I:** ეს ადრე იყო. ახლანდელი სათხოვარი რას ეხებოდა, ეს თუ გამოარკვიეთ?

**ლევანი:** თქვენო უწმიდესობავ! ასპინძის ბრძოლის შემდეგ მეფემ პეტერბურგში ელჩობა გაგზავნა. ელჩობის მონაწილემ, თავადმა ზაალ ორბელიანმა, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას გადასცა ქართლის თავადების სათხოვარი. კოლეგიამ ამ სათხოვარის რუსული თარგმანი მეფეს გამოუგზავნა. აქ ყველაფერი გასაგებად წერია (*ერეკლე კათოლიკოს-პატრიარქს რუსეთიდან მიღებულ წერილს გადასცემს*).

**ანტონი I (წერილის წაკითხვის შემდეგ):** რუსები ხომ არ ორპირობენ, განხეთქილების ჩამოგდება ხომ არ სურთ?

**ერეკლე:** ასეთი წერილები ადრეც გამოგვიგზავნეს რუსეთიდან. ქართლის თავადები ტახტზე ბაქარ ბატონიშვილის აყვანაში შემწეობას ითხოვდნენ. თქვენ იცნობთ ამ წერილებს!

**ლევანი:** თქვენო უწმიდესობავ! საგარეო საქმეთა კოლეგიიდან ასევე გამოგვიგზავნეს თავად ზაალ ორბელიანის ზეპირი საუბრის ჩანაწერი. ზაალ ორბელიანი დაწვრილებით საუბრობს იმაზე, თუ როგორ უნდა ჩამოეგდოთ ტახტიდან მეფე. არც იმას მაღავეს, თუ რამ შეუშალათ ხელი ამ განზრახვის განხორციელებაში (*ერეკლე კათოლიკოს-პატრიარქს გადასცემს რუსეთიდან მიღებულ წერილს*).

**ანტონ I (წერილის წაკითხვის შემდეგ):** ფუჭი გამოდგა ჩემი შეგონება! ქართლის თავადები თავისას არ იშლიან. არ მეგონა, თუ პაატა ბატონიშვილის შეთქმულების შემდეგ ისევ დალატის გზას დაადგებოდნენ.

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! მე თქვენ გარეშე მსჯავრს ვერ გამოვიტან, ბრძანეთ, როგორ მოვიქცეთ!

**ანტონ I:** ხელმწიფევ! ბატონიშვილო! პაატა ბატონიშვილისა და მისი მომხრე თავადების სისხლი ჯერ მიწას არ შეშრობია, მოლაღატეებმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს, თავისას არ იშლიან. ღვთის გულისათვის, ნუღარ დაღვრით სისხლს! მე მოველაპარაკები ზაალ ორბელიანსა და დავით ქსნის ერისთავს. იქნება უსისხლოდ მოგვარდეს ეს საქმე. ამ წერილებსაც ვაჩვენებ, იქნებ ახლა მაინც მიხვდნენ, ვის იმედად არიან, იქნებ შეწყვიტონ მეფის წინააღმდეგ ბრძოლა. ყიზლარის კომენდანტის გამოგზავნილი კაცი გაუშვით, სხვა რომ არა იყოს რა, რუსეთის მეფის ქვეშევრდომია და ბრალიც ისეთი არაფერი მიუძღვის.

**ერეკლე:** როგორც ბრძანებთ, თქვენო უწმიდესობავ! იქნებ თქვენ მაინც აუხილოთ თვალი მოლაღატეებს.

**ანტონ I:** ღმერთმა დალოცოს თქვენი კეთილი საქმენი, ხელმწიფე! უფალი ყველაფერს ხედავს და ყველას თავისას მიაგებს ადრე თუ გვიან! *(კათოლიკოს-პატრიარქი წამოდგება, მეფე ერეკლე და ბატონიშვილი ლევანი მხარზე ემთხვევიან. ყველანი გადიან).*

### მეცამეტე სცენა

სანკტ-პეტერბურგი. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგია. კაბინეტში სხედან კოლეგიის თავმჯდომარე გრაფი ნიკიტა პანინი და საქართველოდან დაბრუნებული კოლეგიის მოხელე ივანე ზოტოვი.

დრო – 1770 წლის მიწურული.

**ნიკიტა პანინი:** რატომ დაგაგვიანდათ? მე ორი კვირის წინ გელოდით.

**ივანე ზოტოვი:** თქვენო მაღალაღმატებულებავ! აწყურიდან სურამში მიბრუნებულმა გენერალმა ტოტლებენმა იმერეთში თან წაყოლა მიბრძანა, ქუთაისში ერთი თვე შემაყოვნა და მერე ძლივს გამომიშვა.

**ნიკიტა პანინი:** ეჭვი ხომ არ აიღო, რომ მეთვალყურედ მყავდი მიჩენილი?

**ივანე ზოტოვი:** არა, უბრალოდ, გენერალი ძალზე შეშინებული იყო, მიბრძანა მუდმივად მასთან ვყოფილიყავი.

**ნიკიტა პანინი:** გენერალმა ჩვენი ნდობა ვერ გაამართლა, ლაჩარი გამოდგა, უნიჭო და თავხედი, შენ რას იტყვი?

**ივანე ზოტოვი:** თქვენო მაღალაღმატებულებავ! ჩემის მხრიდან დიდი კადნიერება იქნებოდა გენერლის მოქმედების შეფასება, მაგრამ...

**ნიკიტა პანინი:** ყველაფერი მომასხენეთ, ნუ მოგერიდებათ!

**ივანე ზოტოვი:** გენერალი მართლაც შეუფერებლად იქცეოდა, იმდენად შეუფერებლად, რომ თვით მისი ხელქვეითი რუსი ოფიცრებიც კი აიმხედრა. ეტყობა, შეშინდა კიდევ, სულ ჭირვეულობდა, ეჭვიანობდა. ჩვენს მომხრე ქართლის თავადებსაც კი ისე უყურებდა, როგორც მოღალატეებს. რაკი შეშინდა, მეფე ერეკლეს დაპატიმრება ვერ გაბედა, თავისი მოქმედებით ქართლის თავადებშიც შიში ჩააგდო. გენერალმა ყველაფერი მეფე ერეკლეს ბრძოლაში დაღუპვას დაუკავშირა, სხვა რამ ვერ მოიფიქრა. მეფე, ჩვენი ჯარის აწყურიდან უკან დაბრუნების მიუხედავად, უვნებლად გადარჩა.



პირიქით, ახალციხის ფაშას ჯარს მუსრი გაავლო. ამან გენერალს თავზარი დასცა და იმერეთში გაიქცა.

**ნიკიტა პანინი:** მეფე სოლომონი როგორ შეხვდა გენერალს?

**ივანე ზოტოვი:** ძალიან კარგად! მაგრამ ურჩია, დაზამთრებამდე, ყინვების დაწყებამდე, ფოთის ციხეზე ნუ გავილაშქრებთ, ჭაობიანი ადგილებია და ჯარისკაცებს მაღარია შეეყრებათო. გენერალმა არ დაიჯერა, ფოთის ციხეს ალყა შემოარტყა და ნახევარი რაზმი მაღარიით დააგადლა.

**ნიკიტა პანინი:** როგორ ფიქრობთ, ფოთის აღება შესაძლებელია?

**ივანე ზოტოვი:** მეფე სოლომონი ამბობს, დაზამთრებამდე შეუძლებელიაო, სანამ ჭაობი არ გაიყინება.

**ნიკიტა პანინი:** გმადლობთ. თუ საჭირო გახდა, კიდევ გამოგიძახებთ (*ივანე ზოტოვი თავს დაუკრავს და გადის*).

**ნიკიტა პანინი:** (*მარტო დარჩენილი*): ვერ გაამართლა გენერალმა ტოტლებენმა, ეგ უნიჭო, ეგ მხდალი, ეგა! ვერც გაასამართლებ, სასამართლოზე, ვინ იცის, რას წამოაყრანტალებს. არადა, მეფე ერეკლემ არ უნდა შეიტყოს, რომ გენერალი ჩვენი მითითებით მოქმედებდა. უფრო ზუსტად, ერეკლე ეჭვში უნდა ჩავარდეს, დანამდვილებით ვერ უნდა მიხვდეს, გენერალი თვითნებობდა, თუ ჩვენს მითითებას ასრულებდა. (*ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ*) იქნებ ასეც სჯობს... თუ ერეკლე დაშინდება და ჩვენი მოკავშირე გახდება, ჩვენი მიზანიც შესრულებული იქნება... (*ფიქრს მიეცა*).

## მეორე მოქმედება

### პირველი სცენა

სანკტ-პეტერბურგი. იმპერატორის სასახლე. ტახტზე ზის ეკატერინე II, საგარძელში სხედან საგარეო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, გრაფი ნიკიტა პანინი და კავკასიის ხაზის უფროსი, თავადი გრიგოლ პოტიომკინი.

დრო –1782 წლის მიწურული.

**ეკატერინე:** მე გავეცანი ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები ტრაქტატის პროექტს. პროექტით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მაქვს რამდენიმე შეკითხვა. ნიკიტა ივანეს ძე, რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას?

**ნიკიტა პანინი:** თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ! ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებით ირანიცა და ოსმალეთიც უკმაყოფილონი დარჩებიან. ირანში ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ არეულობაა, შაჰის ტახტისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრდება. კიდევ რომ დამთავრდეს, ირანი რუსეთთან ომის დაწყებას ვერ გაბედავს. შეიძლება ირანმა მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფო დალაშქროს, რაც ჩვენთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს.

**ეკატერინე:** ტრაქტატის ძალით ჩვენ ხომ ვაღდებულნი ვიქნებით დავიცვათ ქართლ-კახეთის სამეფო?

**ნიკიტა პანინი:** ვაღდებული ვიქნებით, მაგრამ რუსეთის ინტერესებს ვერ ვანაცვალებთ ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესებს. თუ ირანის ჯარმა მხოლოდ ქართლ-კახეთი დაარბია და უკან გაბრუნდა, ჩვენ თავი უნდა შევიკავოთ ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებისაგან. ჩვენ ირანთან ომზე მხოლოდ მაშინ უნდა წავიდეთ, თუ მან კასპისპირეთში რუსეთის შეზღუდვა გადაწყვიტა. გარდა ამისა, ირანის ლაშქრის მიერ ქართლ-კახეთის დარბევა მეფე ერეკლეს ჩვენდამი მორჩილების სურვილს გაუძლიერებს. მეფე ერეკლე უნდა დარწმუნდეს, რომ ირანს შეუძლია საერთოდ ამოაგდოს ქართლ-კახეთი.

**ეკატერინე:** თუ მეფე ერეკლემ იგრძნო, რომ რუსეთი მას არ მფარველობს, ხომ შეიძლება ირანთან მეგობრობა არჩიოს?

**ნიკიტა პანინი:** თუ მეფე ერეკლემ ტრაქტატს მოაწერა ხელი და თქვენს მფარველობაში შემოვიდა, ირანთან ურთიერთობას ვედარასოდეს მოაგვარებს, ირანი ერეკლეს აღარ ენდობა.

**ეკატერინე:** ნიკიტა ივანეს ძე! მეფე ერეკლეს ნუ ეხუმრებით, იგი მამაცი, ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი და გამოცდილია. გახსოვთ, როგორ მოხერხებულად ჩაშალა გენერალ ტოტლებენის გეგმა? დაუშვით და მეფე ერეკლემ შეძლო ირანთან ურთიერთობის მოგვარება?

**ნიკიტა პანინი:** მეფე ერეკლე რომ დამჯერე და ჩვენი მორჩილი გახდეს, ირანთან რომ სამუდამოდ გაწყვიტოს ურთიერთობა, ამისთვის ჩვენ გვჭირდება ირანის ერთი ლაშქრობა თბილისზე. ეს ლაშქრობა საბოლოოდ დაასამარებს ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობას, ამასობაში, ჩვენც მოვიცლით და ირანს გავაძევებთ კავკასიიდან.

**ეკატერინე:** მეფე ერეკლესთვის ჯარის გაგზავნას რა გართულება შეიძლება მოჰყვეს?

**ნიკიტა პანინი:** ჯარი დიდი არ იქნება, ორი ბატალიონი არ წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც შეიძლება ირანმა და ოსმალეთმა დიდ საფრთხედ აღიქვან. ამას უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ექნება. გართულების შემთხვევაში ჯარი შეიძლება ყიზლარში დავაბრუნოთ.

**ეკატერინე:** მეფე ერეკლემ რომ ჯარის გაზრდა ითხოვოს?

**ნიკიტა პანინი:** არ უნდა დავეთანხმოთ. თუ ჯარის რაოდენობა სერიოზულად გაიზარდეთ, ირანი კი არა, ოსმალეთიც შეშფოთდება. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებით გაიგზავნოს ერთი ბატალიონი. ეს ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობას სერიოზულად არ დაძაბავს.

**ეკატერინე:** ოსმალეთი რას მოიმოქმედებს?

**ნიკიტა პანინი:** ოსმალეთის დამშვიდება დიდ სირთულესთან არ იქნება დაკავშირებული.

**ეკატერინე:** გრიგოლ ალექსანდრეს ძე! თუ ტრაქტატმა ირანთან ომამდე მიგვიყვანა, რა გველის, რა ძალები გვყავს ჩრდილო კავკასიაში?

**გრიგოლ პოტიომკინი:** თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ! ირანი ომს ვერ გაბედავს, თუ მაინც გაბედა, ჩვენ არანაირი საფრთხე არ გვემუქრება. კავკასიის ხაზს ირანის ჯარი ვერ გადმოხალავს, ჩვენ კი

შეგვიძლია ირანის საზღვრებში შევიჭრათ და შემახამდე, ბაქომდეც კი დავიკავოთ ირანის ტერიტორია. მოკლედ რომ ვთქვათ, შეგვიძლია ირანს ჭკუა ვასწავლოთ.

**ეკატერინე:** ტრაქტატის დადებამდე კიდევ ერთხელ უნდა ავწონ-დავწონოთ ყველაფერი, დღეს ეს ვიკმაროთ (*ნიკიტა პანინი და გრიგოლ პოტიომკინი თავს დაუკრავენ და გადიან*).

### მეორე სცენა

თბილისი. მეფის სასახლე. დარბაზში სხედან: ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, ბატონიშვილი ლევანი და თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

დრო: 1783 წელი.

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! ტრაქტატი დავდეთ, თითქოს მიზანს მივადწიეთ, მაგრამ გული ცუდს მიგრძნობს, თითქოს გამოუსწორებელი შეცდომა დაგუშვი, მეშინია, შთამომავლობამ წყველა-კრულვით არ მოგვისხენიოს!

**ანტონ I:** ყველაფერი უფლის ნებაა! მეფე შეიძლება შეცდეს, მაგრამ ღმერთთან და თავის თავთან პირნათელი უნდა იყოს. შეცდომა სხვაა, ღალატი – სხვა! შეცდომას ღმერთი შეგინდობს, წინასწარგანზრახულ ღალატს – არა! შენ, ხელმწიფე, ღალატი არ ჩაგიდენია, თუ შეცდი, ღმერთს შევთხოვ, შეგინდოს!

**ლევან ბატონიშვილი:** თქვენო უწმიდესობავ! მამავ ბატონო! მე დიდი იმედი მქონდა რუსეთის ხელმწიფის დახმარებისა, მაგრამ აწყურის ციხესთან რუსის გენერლის ღალატმა პირველი ეჭვი გამიჩინა მაშინ გამარჯვების სიხარულმა გაფანტა ეს ეჭვი. ახლა მეც ვფიქრობ: ხომ არ ავჩქარდით? დაგვეხმარება კი რუსთ ხელმწიფე?

**ერეკლე II:** თავადო გარსევან! რას იტყვი, შენ დიდხანს იყავი რუსეთში, იცნობ იქაურებს, იმპერატორთანაც წარგადგინეს.

**გარსევან ჭავჭავაძე:** რაც რუსეთიდან დავბრუნდი ენის წვერზე ვიჭერ სიტყვას. იმ სიტყვის თქმას ვერც თქვენთან გავბედავ, ხელმწიფე, და ვერც მის უწმიდესობასთან. აი, მე და ბატონიშვილი რომ ვიყოთ მარტონი, ვიტყვოდი.

**ერეკლე (ილიმება):** თქვი, გარსევან! შინაურები ვართ, ისეთი რა უნდა თქვა, რომ მისი უწმიდესობისა, მით უფრო – ან ჩემი შეგრცხვეს!

**გარსევან ჭავჭავაძე (ანტონ I-ს გაუსწორებს მზერას):** მაშ, ვთქვა?

**ანტონ I:** თქვი, შვილო ჩემო, ისეთი რა უნდა თქვა, ცოდვილ კაცს არ ესმინებოდეს.

**გარსევან ჭავჭავაძე:** ვინც რუსზე კარგი თქვას ... მეტს ვერ ვიტყვი! (ილიმება).

**ერეკლე (ილიმება):** რაღა უნდა თქვა, მაგის ბოლოს ბაღლიც მიხვდება! თუ ეგრე ფიქრობდი, ადრე ვერ მითხარ? თუ გეორგიევსკში მოგივიდა ეგ აზრი თავში?

**გარსევან ჭავჭავაძე:** არა, ისე ცუდი ხალხი არაა...

**ანტონ I (აწყვეტინებს):** ჰო, ცუდი ხალხი არაა! შენისთანა მემთვრალე და მექალთანე იპოვიდა იქ გულისწორებს.

**გარსევან ჭავჭავაძე:** თქვენო უწმიდესობავ! ხელმწიფევ! მე ეგრე მგონია: რუსებმა ტრაქტატზე კი მოგვიწერეს ხელი, მაგრამ რუსებს ჩვენთვის არა სცალიათ და დიდხანს ვერც მოიცლიან. დიდი ქვეყანაა რუსეთი, ოთხივ კუთხით დიდ ამბებსაა შეჭიდებული, ყველგან ფეხის მოკიდებას ცდილობს, ამიტომ მგონია, ჩვენთვის ვერ მოიცალოს; ვერ დაგვეხმარება, ირანთან ომში ჩვენი გულისათვის არ ჩაებმება.

**ანტონ I:** არცთუ ტყუილად დაგიკარგავს რუსეთში დრო, გარსევან, სულ იმას გავიძახი: ჭკვიანი კაცია ქართველი, ჭკვიანი და აზრიანი, მაგრამ ჭკუასა და აზრს გასაქანს ვერ აძლევს.

**ერეკლე:** თქვენო უწმიდესობავ! მგონია თქვენ ეთანხმებით თავად გარსევანს!

**ანტონ I:** დიდხანს ვცხოვრობდი რუსეთში. მართალია, ერისკაცებთან ურთიერთობა ნაკლებად მქონდა, მაგრამ შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ რუსეთი თავის უპირველეს მტრებად მიიჩნევს პრუსიას, ინგლისსა და ოსმალეთს. ამ ქვეყნებთან რუსეთს იმდენი რამა აქვს გასარკვევი, რომ წლები დასჭირდება, ომებიც არ იქნება მოულოდნელი. რუსეთი ირანსაც აუტეხს ომს, მაგრამ, ღმერთმა უწყის, როდის იქნება ეს. თუ ევროპაში რუსეთმა აწეწილი საქმეები არ მოაგვარა, ირანის წინააღმდეგ ვერ დაგვეხმარება.

**ერეკლე II:** მეც ეგ ეჭვები მიღრღნის გულს. ირანში ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ არეულობაა, ყაჯართა ტომის ბელადი ალა-მაჰმადი

ცდილობს შაჰის ტახტზე ასვლას. ვიცნობ მაგ საჭურისს: ბოროტი, დაუნდობელი და ვერაგი კაცია. ღმერთმა ნუ ქნას, ალა-მაჰმადი გახდეს ირანის შაჰი. ვთქვათ, არ დაგვედო რუსეთთან ტრაქტატი, ამით გვეშველებოდა რამე? ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ ირანში არეულობა რომ დაიწყებოდა, ამას ყველა გრძნობდა, თვით ქერიმ-ხანიც. ამიტომ ავჩქარდი, არავინ იცის, ვინ გახდება ირანის შაჰი, არ მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი ირანთან ომში.

**ანტონ I:** ხელმწიფე! ერთი რამ კარგად უნდა გახსოვდეს. ქართლის მეფეს, სულკურთხეულ ვახტანგს, ეგონა, რომ ირანის შაჰს რუსეთის იმპერატორით შეაშინებდა, რაც გამოვიდა ამ საქმიდან, კარგად ვუწყით, მეშინია, იგივე არ განმეორდეს, რუსეთის იმპერატორმა ირანის წინააღმდეგ მარტო არ დაგეტოვოს. ირანი და ოსმალეთი მტრობენ ერთმანეთს, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ ყოველთვის ერთად იქნებიან.

**ლევან ბატონიშვილი:** რუსეთთან ტრაქტატის დადებას ერთი რამ აუცილებლად მოჰყვება: ირანი და ოსმალეთი ლეკებს შემოგვისევენ. ლეკებთან ბრძოლას დიდი ჯარი სჭირდება, 1500-2000 კაცი მუდმივად, დღისით და ღამით მზად უნდა იყოს. ჩვენ ამოდენა ლაშქრის შენახვა არ შეგვიძლია.

**ერეკლე II:** ლეკებს ახალციხის ფაშა მფარველობს. ლეკების სადევნელად საჭირო მუდმივი ლაშქრის შენახვა გაგვიჭირდება. გარდა ამისა, ხომ ნახე, მორიგე ჯარსაც გაუჭირდა ლეკების დევნა. მთავარი კი მაინც ისაა, თუ როგორ დამთავრდება ირანში ტახტისთვის ბრძოლა.

**ანტონ I:** უფლის ნებით ხდება ყველაფერი! შევთხოვ უფალს, ნუ მოგვიზღავს ჩვენი ცოდვების წილ, შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენნი, დაიფაროს ჩვენი ქვეყანა!

ამინ! ამინ! ამინ!

*(ანტონ I წარმოდგება, ყველანი ფეხზე წამოდგებიან, მხარზე ემთხვევიან კათოლიკოს-პატრიარქს. ანტონ I ჯვარს გადასახავს და პირველი ტოვებს დარბაზს).*

### მესამე სცენა

ირანი. ყაჯართა ტომის ბელადის – ალა-მაჰმად-ხანის – კარავი. კარავში ტახტზე ზის ალა-მაჰმადი. დრო: 1785 წელი.

**კარისკაცი:** ირანის მბრძანებლო! გეახლათ უცხოელი, გუშინწინ რომ დააკავეს თქვენი დაცვის ჯარისკაცებმა. თქვენი ბრწყინვალეობის ხილვას ითხოვს!

**აღა-მაჰმად-ხანი:** ვინ არის, რომელი ქვეყნის ქვეშევრდომია და ჩემგან რა უნდა?

**კარისკაცი:** ირანის მბრძანებლო! არაფერს ამბობს, თქვენს ხილვას ითხოვს!

**აღა-მაჰმად-ხანი:** შემოიყვანეთ!

*(შემოდის ინგლისის არმიის ოფიცრის ფორმიანი ევროპელი, აღა-მაჰმად-ხანს დადგენილი რიტუალით სპარსულად მიესალმება, თავს დაუკრავს და შუა კარავში გაჩერდება. აღა-მაჰმად-ხანი კარისკაცს კარებისაკენ ანიშნებს, კარისკაცი გადის).*

**აღა-მაჰმად-ხანი:** ვინა ხარ, სპარსული საიდან იცი?

**ოფიცერი:** მისი უდიდებულესობის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი, პოლკოვნიკი რობერტსონი, სპარსული ლონდონში შევისწავლე.

**აღა-მაჰმად-ხანი:** ირანში საიდან შემოაღწიე, ვისი დავალებით მოსულხარ?

**რობერტსონი:** ახალციხიდან გადმოვედი, ინგლისის მთავრობის დავალებით გეახელით.

**აღა-მაჰმად-ხანი:** არ გეშინია, რომ სიკვდილით დაგსაჯო?

**რობერტსონი:** იგივე კითხვა დამისვა ახალციხის ფაშამაც...

**აღა-მაჰმად-ხანი (აწყვეტილებს):** რა უპასუხე?

**რობერტსონი:** არ მეშინია იმიტომ, რომ მე ინგლისის მონარქის ქვეშევრდომი ვარ და ჩემი სისხლი ადრე თუ გვიან არავის შერჩება. გარდა ამისა, მე ჯარისკაცი ვარ და სიკვდილს მუდამ ველოდები. ჩემთვის პირადად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თქვენი ჯალათი გამაგდებინებს თავს, თუ ომში მტრის ტყვია მომკლავს.

**აღა-მაჰმად-ხანი:** მამაცი ყოფილხარ! აბა, მითხარი, რისთვის მოსულხარ?

**რობერტსონი:** ინგლისის მთავრობა შეშფოთებულია იმით, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე რუსეთის იმპერატორის მფარველობაში შევიდა, საქართველოში კი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი შემოვიდა.

**აღა-მაჰმად-ხანი (გამოცოცხლდება):** მერე?

**რობერტსონი:** რუსეთის დამკვიდრება საქართველოში ეწინააღმდეგება ინგლისის და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ირანის ინტერესებს, ოსმალეთისასაც აგრეთვე.

**აღა-მაჰმად-ხანი:** მეფე ერეკლეს თავს გაუვიდა, ირანს მტრად მოეკიდა, ისარგებლა იმით, რომ მე ირანში ბევრი ავისმდომი მყავს, მათ ვებრძვი და ერეკლესათვის ვერ მომიცლია.

**რობერტსონი:** ირანში შექმნილი ვითარება ინგლისის მთავრობისათვის ცნობილია ცნობილია, ისიც, რომ ირანის შაჰის ტახტს მალე თქვენ დაეუფლებით, ამიტომ მოგმართავთ თქვენ.

**აღა-მაჰმად-ხანი (აშკარად ნასიამოვნები):** ახლა მე თბილისზე ლაშქრობა არ შემიძლია, არ ვიცი როდის მოვიცლი. ისე კი მოღალატე მეფე ერეკლეს აუცილებლად დავსჯი.

**რობერტსონი:** ინგლისის მთავრობა გამოდის იქიდან, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ირანის სავასალოა და იქ წესრიგის დამყარება თქვენი ღირსების საქმეა. ინგლისის მთავრობა თანადგომას გპირდებათ.

**აღა-მაჰმად-ხანი:** ეს მეც ვიცი, მაგრამ ახლა თბილისზე სალაშქროდ არ მცალია!

**რობერტსონი:** გაითვალისწინეთ ისიც, რომ თუ ირანი ქართლ-კახეთის მეფეს ჭკუაზე ვერ მოიყვანს, ოსმალეთი შეეცდება ქართლ-კახეთიდან რუსეთიც განდევნას. მგონია, ეს თქვენთვის სასურველი არ უნდა იყოს.

**აღა-მაჰმად-ხანი:** როცა მე აღაჰის ნებით ირანს გავაერთიანებ, ყველა მოწინააღმდეგესა და მოღალატეს გაველეშ, მეფე ერეკლეს ჯერიც დადგება, რუსეთის იმპერატორსაც ხალისი დაეკარგება და ირანის მტერთან მეგობრობას თავს დაანებებს.

**რობერტსონი:** ირანის მბრძანებლის სახელით ინგლისის მთავრობას მოვასხენო, რომ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ მოკავშირები ვართ?

**აღა-მაჰმად-ხანი:** ნუ აჩქარდებით, დარჩით აქ რამდენიმე კვირა, მე ბევრი რამ მაქვს გადასაწყვეტი, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

**რობერტსონი:** ირანის მბრძანებელთან სტუმრობა ჩემთვის დიდი პატივია (თავს დაუკრავს და გადის).

**აღა-მაჰმად-ხანი (მარტოდ დარჩენილი ხმამაღლა იტყვის):** კარგია, რომ მეფე ერეკლეს რუსებთან მეგობრობას ინგლისის მთავრობაც შეუშფოთებია.



ამ ინგლისელს ოსმალეთი შემთხვევით არ უხსენებია. თუ მე მეფე ერეკლე არ დავსაჯე, ინგლისი ოსმალეთის ხელით შეეცდება ამის გაკეთებას. რამდენი თავსატეხი გამიჩინა მეფე ერეკლეს ამ სულელურმა ნაბიჯმა. ეტყობა ნადირ-შაჰმა კარგად ვერ შეაგნებინა ერეკლეს: ირანის მტრობა და რუსეთთან მეგობრობა დაღუპავს საქართველოს! *(დაიხოქებს და ლოცვას იწყებს)*.

### მეოთხე სცენა

თბილისი. თბილელი მიტროპოლიტის სახლი ანჩისხატთან. კათოლიკოს-პატრიარქის საწოლი ოთახი. სარეცელზე წევს ანტონი I. ავადაა. გვერდით დაბალ სკამზე ზის კათოლიკოს-პატრიარქის მოძღვარი, მამა თეოდორე. დრო: 1787 წელი.

**ანტონ I:** მამაო თეოდორე! დასტაქარი წავიდა? რაო, რა თქვა?

**მამა თეოდორე:** თქვენო უწმიდესობავ! ასე ბრძანა, უნდა იწვესო, ფეხზე მხოლოდ ლოცვის დროს ადგესო.

**ანტონ I:** მამაო თეოდორე, მე უფალი მაღე მიხმობს, მაგრამ ახლა აღსარების სათქმელად არ მომიწვევიხათ, ისე მინდა ვიმასლაათოთ. რამდენი წელია ჩვენს შორის სხვაობა?

**მამა თეოდორე:** ეგრე მახსოვს, სამი წლით ვარ თქვენზე უმცროსი.

**ანტონ I:** ესე იგი ყველაფერი გახსოვს ჩემი აღსაყდრებიდან დღემდე.

**მამა თეოდორე:** უფრო ადრინდელიცა.

**ანტონ I:** მზის ქვეშეთში არ მეგულება ერია, ამდენი უბედურებისათვის რომ გაეძლოს, რასაც ჩვენ, ქართველებმა, გავუძელით. ღმერთმა გაგვაძლებინა, ღმერთის ნება რომ არ ყოფილიყო, ვერც ჭკვიანი და მამაცი მეფეები გვიშველიდნენ და ვერც ხალხის თავგანწირვა. დიდება უფალს! *(პირჯვარს გადასახავს)*.

**მამა თეოდორე:** დიდება უფალს! *(პირჯვარს გადაისახავს)*.

**ანტონ I:** ყველა უბედურება, რაც თავს დაგვატყდა, ესეც უფლის ნებაა, უფალი გვსჯის იმ ცოდვათა გამო, რომელშიც ერი და ბერი ჩავარდნილა ეს

ბოლო სამი საუკუნეა. მე არ ვგულისხმობ უნებლიე ცოდვას, მე ქვეყნისა და ეკლესიის დაღატაკ ვგულისხმობ, შეგნებულ დაღატაკს.

**მამა თეოდორე:** მეფეთ ცოდვები მიეტყუებთ!

**ანტონ I:** მეფეთ მიეტყუებთ მტრის ქლევთა, სამშობლოს ორგულთა დასჯა, მაგრამ ქვეყნისა და ეკლესიის დაღატი – არა!

**მამა თეოდორე:** ამბობენ, მეფე გიორგი, ასევე მეფე ერეკლე ნაზარალიხანი ისლამს კი აღიარებდნენ, მაგრამ მალულად, პერანგის ქვეშ ჯვარს ატარებდნენო.

**ანტონ I:** ეგ უფრო დიდი ცოდვაა. თუ ქრისტეს ჯვრისთვის თავის განწირვა არ შეგიძლია, რა აზრი აქვს მაშინ იმ ჯვრის ტარებას. ეგ სულმოკლეთა გზაა, ეშმაკის გზაა. ქეთევან დედოფალსაც შეეძლო ეგრე მოქცეულიყო, ისლამი მიეღო და ჯვარი მალულად პერანგს ქვეშ ეტარებინა. დედოფალმა ეს არ იკადრა და ქრისტეს ჯვრისთვის მოწამებრივად აღესრულა!

**მამა თეოდორე:** თქვენო უწმიდესობავ! მე მეჩვენება, რომ მტერმა კარგად შეისწავლა ქართველის ზნე და ამიტომაც გვებრძვის ასეთი წარმატებით.

**ანტონი I:** ყველა ჩვენი ნაკლი მტერმა ჩვენზე უკეთ იცის, ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენ თავს ისე კარგად, როგორც მტერი გვიცნობს. ამიტომ დაგვამარცხეს ასე ადვილად, ამიტომ შეძლეს ერთიანი საქართველოს დანგრევა.

**მამა თეოდორე:** უფალი მოწყალეა და ხსნის გზასაც ის გვიჩვენებს.

**ანტონ I:** სამი საუკუნის განმავლობაში მრავალგზის გვიჩვენა ხსნის გზა უფალმა, ჩვენ კი მაინც ცოდვიანი გზით მივდივართ, ცოდვებს ვამრავლებთ. სამი საუკუნეა, სამშობლოს სასიკეთოდ რა ვერ გამოიყენა! ქართველებმა ნიჭსა და გონებას გასაქანი მისცეს სამშობლოდან შორს: ირანში, ოსმალეთში, რუსეთში, ევროპაშიც კი.

**მამა თეოდორე:** რა არის ამის მიზეზი?

**ანტონ I:** საქართველოში ყოველი გონიერი ქართველი მოუსვენრად გრძნობს თავს, სულ იმის ცდაშია, მეორე გონიერი ქართველი ჩამოიცილოს გზიდან და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის კეთება. იმას კი ვერ ხვდება, რომ მეორე ქართველის გზიდან ჩამოშორება უკვე დიდი ცოდვაა და ამის მქმნელი კეთილი საქმეს ვეღარ გააკეთებს.

**მამა თეოდორე:** უცხოეთში რატომ არ იქცევა ასე?

**ანტონ I:** უცხოეთში გვერდით მეორე ქართველი არა ჰყავს. უცხოელის შიში კი არა აქვს, მისი ნიჭისა და გონებისა არ ეშინია, ამიტომაც მშვიდად და დიდ საქმეთა შემოქმედიც ხდება. თუ ქართველს უცხოეთში გვერდით მეორე ქართველი უდგას, იქაც არ დაინდობს და მისი განადგურებით დაიწყებს დიდ საქმეთა კეთებას.

**მამა თეოდორე:** გამოდის, რომ ნიჭი და გონება ყოფილა ჩვენი მტერი?

**ანტონ I:** კაცობრიობას, რაღა თქმა უნდა, ქართველებსაც, ერთი მტერი ჰყავს – ეშმაკი. ჩვენი მტერი ნიჭი და გონება კი არაა, არამედ ეშმაკი, რომელმაც ქართველს ჩააგონა, რომ მისი მტერი მეორე ქართველია. მოყვასის სიყვარულის ნიჭი არ ჰქონდათ როსტომ-ხანს, გიორგი XI-ს, ერეკლე I ნაზარალიხანს და ბევრ სხვა ქართველსაც, შაჰისა და სულთნის სამსახურში რომ გადიდკაცდნენ და უცხო ქვეყნის ძლიერებას შესწირეს ყველაფერი. ზოგიერთი ქართველი მათ გმირებად მიიჩნევს, ეს დიდი ცოდვაა. სჯულის მოღალატე გმირი ვერ გახდება! მოღალატე მოღალატეა – მამაციცა და ლაჩარიც. უცხო ქვეყნების, შაჰების, სულთნებისა და იმპერატორების სამსახურში ქართველთა მიერ დიდების ძიება, ქართველთა უცხოეთში გადახვეწა, სჯულის შეცვლა და სამშობლოს დავიწყება, ეს ის სენია, რომელიც ღრდნის საქართველოს, მერმეც გააუბედურებს ქვეყანას!

**მამა თეოდორე:** ლოცვის ჟამი მოვიდა, თქვენო უწმიდესობავ! მე წავიკითხო, თუ თქვენ ინებებთ აბრძანებას?

**ანტონ I:** დამეხმარე, ტაძარში გამიყვანე, ერთად ვილოცოთ (კათოლიკოს-პატრიარქი წამოდგება, შეიმოსება და მამა თეოდორეს დახმარებით საწოლი ოთხიდან გადის).

### მესუთე სცენა

აღა-მაჰმად-ხანის ბანაკი შუშის მახლობლად. კარავში ტახტზე ზის აღა-მაჰმად-ხანი. მარჯვნივ და მარცხნივ სხედან სარდლები და დიპლომატები.

დრო: 1795 წლის ივლისი.

**აღა-მაჰმად-ხანი:** ალაჰის ნებით, ირანის გაერთიანების მისია მე დამეკისრა. სისხლი დაეღვარეთ, ბევრი მოწინააღმდეგე დაგამარცხეთ, მაგრამ ზოგიერთი ხანი და ტომის ბელადი არ ცნობს ჩემს ხელისუფლებას. ამ მოღალატეების თაობაზე დღეს მე საუბარი არ მსურს, უფრო დიდი საფრთხის შესახებ მინდა ვითათბიროთ. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და მამამისი თეიმურაზი ნადირ-

შაჰის შემწეობით დაეპატრონენ ტახტს. ოცი წელი ირანის ერთგულები იყვნენ, მერე არ ვიცი, რამ გააგიჟათ: მეფე ერეკლემ რუსეთის იმპერატორის მფარველობა ითხოვა და მიიღო კიდევ. რუსის ჯარიც შევიდა საქართველოში. ბევრჯერ შევუთვალე მეფე ერეკლეს, კავშირი გაეწყვიტა ჩრდილოელ ხელმწიფესთან და ირანთან ძველი ურთიერთობა აღედგინა. ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ მეფე ერეკლე ირანს ანგარიშს აღარ უწევს. ამიტომ იყო, რომ პასუხიც არ მაღირსა, თავს გაუვიდა. ეტყობა ფიქრობს, რომ მე ირანს ვერ გავაერთიანებ და შაჰის გვირგვინს ვერ დავიდგამ. კარგად ვიცნობ მეფე ერეკლეს, ნადირ-შაჰის გამოზრდილია, ჭკვიანი, ეშმაკი და დაუნდობელია. ამჯერად ერეკლე ირანის ყველაზე დიდი და საშიში მეტრია. საიდუმლოდ მაცნობეს, რომ რუსეთის იმპერატორს წერილი მისწერა. იცით, რა წერია იმ წერილში? თუ რუსეთის ჯარი მომეშველება, ქართველების გარდა კავკასიის ყველა ქრისტიან ხალხს ავაჯანყებ ირანის წინააღმდეგ და თავრიზამდე ირანის ტერიტორიას დავიკავებო. მე სამხედრო მინისტრს ვუბრძანე გაეგო: თუ რუსის ჯარი შემოვა საქართველოში, რა ძალას მოუყრის თავს მეფე ერეკლე (ყულარადასს ანიშნებს, მომახსენეო).

**ყულარადასი:** ირანის მბრძანებელი! ქართლ-კახეთის მეფეს შეუძლია 10-12 ათასიანი ჯარი გამოიყვანოს, სომხებს 8-10 ათასი კაცის გამოყვანა შეუძლიაო, ასირიელები 15-20 ათასი კაცის შეკრებას მოახერხებენ.

**აღა-მაჰმად-ხანი:** 40 ათასიან ლაშქარს რუსებმა 10 ათასიც რომ დაამატონ, ჩვენ ამ ძალის მოგერიებას ვერ შევძლებთ, მით უფრო, რომ არ ვიცი, რუსის ჯარი დერბენტის გზით შემოვა თუ დარიალის ხეობით. რა ამბავი ჩამოიტანეს რუსეთიდან ჩვენმა ელჩებმა? (*ელჩობის ხელმძღვანელს ანიშნებს მომახსენეო*).

**ელჩობის ხელმძღვანელი:** ირანის მბრძანებელი! რამდენიმე წელია, მეფე ერეკლე რუსეთის იმპერატორს ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყებას სთხოვს. დანამდვილებით ვერ შევიტყვეთ, რა უპასუხა რუსეთის იმპერატორმა, მაგრამ ბოლო ხანებში რუსეთი განუწყვეტლივ ზრდის ჯარისა და არტილერიის რაოდენობას ჩრდილო კავკასიაში. ეს ჯარი, ცხადია, ირანის წინააღმდეგ საბრძოლველადაა გამიზნული.

**აღა-მაჰმად-ხანი:** მეფე ერეკლეს მტრულმა მოქმედებამ მე მაიძულა შემეწყვიტა ურჩი ხანებისა და ტომის ბელადების დასჯა. დღეს ირანს მეფე ერეკლეზე დიდი მტერი არ ჰყავს! ჩვენ არ ვიცი, რა ჭკუაზე დადგება ხვალ

რუსეთის იმპერატორი. მეფე ერეკლეს რომ ჯარი მიაშველოს, ეგ ბებერი მგელი მართლაც დაიჭერს თავრიზს, შემდეგ ყველა ჩემი მოწინააღმდეგე ხანი და ტომის ბელადი ზურგში ჩამცემს მახვილს. ვინ იცის, იქნებ მეფე ერეკლემ უკვე კიდევ გადაიბირა ისინი და მხოლოდ ნიშანს ელოდებიან! გიხმეთ იმიტომ, რომ გაუწყობ ჩემი ნება: მე გადავწყვიტე რუსეთის ჯარის მოსვლემდე დავლაშქრო საქართველო, თბილისი ავიღო, მეფე ერეკლე ან მოგკლა, ან ტყვედ ჩავიგდო! სანამ ლაშქრობას დავიწყებდე, *(ანიშნებს ელჩობის ხელმძღვანელს)* შეარჩიეთ რუსეთში თქვენთან ერთად ნამყოფი, გამოცდილი დიპლომატი და გააგზავნეთ ჩრდილო კავკასიაში, ყიზლარში. ყიზლარში ჩასვლის მიზეზი ისე უნდა იყოს მოფიქრებული, რომ რუსებმა ეჭვი არ აიღონ. ყველაფერი კარგად დაზვერონ. მე ზუსტად უნდა ვიცოდეთ: რამდენი დრო დასჭირდებათ რუსებს ჩრდილო კავკასიიდან თბილისამდე ჯარისა და არტილერიის გადმოყვანისათვის. მეფე ერეკლე რუსების მოსვლამდე უნდა გავანადგუროთ, რუსებთან ჩვენ ომში ვერ ჩავებმებით. მოლაღატე მეფე ერეკლეს სიკვდილი ალაჰის ნებაა, ირანის მტერი ალაჰის ნებით დასამარდება! *(აღა-მაჰმად-ხანი ლოცვას დაიწყებს, ყველანი ლოცულობენ).*

### მეექვსე სცენა

აღა-მაჰმად-ხანის ბანაკი შუშის მახლობლად. კარავში ტახტზე ზის აღა-მაჰმად-ხანი, გვერდით უზის რუსეთიდან დაბრუნებული დიპლომატი იუსუფ-ბეგი. დრო: 1795 წლის აგვისტო.

**აღა-მაჰმად-ხანი:** იუსუფ-ბეგ! თუ რუსეთში თქვენი ჩასვლის ნამდვილი მიზეზი რუსეთის იმპერატორმა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლემ შეიტყვეს, ჩვენ შეიძლება ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავცვივდეთ. აბა, კარგად გაიხსენე ყველაფერი, კიდევ ერთხელ მომიყევი ელჩობის ამბავს.

**იუსუფ-ბეგი:** ირანის მბრძანებლო! თავს დავდებ და მოგახსენებთ, რომ რუსეთის ჯარის სარდალმა გენერალმა გუდოვიჩმა ჩვენი ჩასვლის ნამდვილი მიზეზი ვერ შეიტყო. მეფე ერეკლეზე ვერაფერს მოგახსენებთ, არ ვიცი!

**აღა-მაჰმად-ხანი:** მაცნობა ყველაფერი, ყოველივე დაწვრილებით გაიხსენე! მგონია, ეგ რუსის გენერალი თავს ისულელებს, თუ მართლა სულელი არ არის!

**იუსუფ-ბეგი:** დერბენტს გავცდით თუ არა, მე და ჩემი თანხლები პირები რუსის მესაზღვრეებმა დაგვაკავეს. არაფერი უკითხავთ, ყიზლარში მოგვიყვანეს და ცალკე შენობაში გამოგვკეტეს. მეორე დღეს ყიზლარის კომენდანტთან წავგიყვანეს. კომენდანტმა გვკითხა: ვინა ხართ, საით მიემგზავრებითო? ჩვენ ვუთხარით, რომ ირანის მბრძანებლის ელჩები ვართ და რუსეთის იმპერატორთან მივდივართ. სხვა არაფერი უკითხავს, დაგვემშვიდობა და გვითხრა: ხვალ კავკასიის ხაზის სარდალი გენერალი გუდოჩივი მობრძანდება და ის გადაწყვეტს თქვენი გამგზავრების საკითხსო.

**აღა-მაჰმად-ხანი:** მეფე ერეკლე ხომ არ უხსენებია ყიზლარის კომენდანტს?

**იუსუფ-ბეგი:** არავინ არ უხსენებია, საერთოდ, ეტყობოდა ჩვენი ჩასვლის ამბავი არ აინტერესებდა.

**აღა-მაჰმად-ხანი:** აი, ეგ არის საეჭვო! შენ რომ მის ადგილზე ყოფილიყავი, ასე გულგრილად შეხვედებოდი უცხო ქვეყნის ელჩებს?

**იუსუფ-ბეგი (დაბნეული):** არა...

**აღა-მაჰმად-ხანი:** იუსუფ-ბეგ! თუ შენი მტერი სულელად ჩათვალე, იცოდე იმ მტრის საქმეს აკეთებ! გენერალმა გუდოვიჩმა რა გითხრაო?

**იუსუფ-ბეგი:** გენერალი გუდოვიჩი უფრო ყურადღებით მოგვეპყრო და ბოლოს გვითხრა: თქვენ არა გაქვთ თქვენი მეფის სიგელი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ნამდვილად ელჩები ხართ; სიგელის გარეშე უფლება არა მაქვს, გზის გაგრძელების უფლება მოგცეთ; სანამ საგარეო საქმეთა კოლეგია თქვენს საკითხს გადაწყვეტს, აქ უნდა დარჩეთ; თუ გინდათ, თქვენს მეფესთან დაბრუნდით და სიგელი მოიტანეთო.

**აღა-მაჰმად-ხანი:** მაშ, გენერალი, თუ მოისურვებდით, უკან დაბრუნების უფლებას მაშინვე გაძლევდათ?

**იუსუფ-ბეგი:** თუ გსურთ, დღესვე გაბრუნდით უკანო. ჩვენ უკან დაბრუნების ნებართვა ერთი კვირის შემდეგ ვითხოვეთ.

**აღა-მაჰმად-ხანი:** როგორ გეპყრობოდნენ, არ გითვალთვალებდნენ?

**იუსუფ-ბეგი:** არა, თავისუფლად ვიყავით, ქალაქში დავდიოდით, ორი ჯარისკაცი გვახლდა, ხელს არაფერში გვიშლიდნენ.

**აღა-მაჰმად-ხანი:** ყიზლარში დიდი ჯარი დგას? ძირითადად ცხენოსანი ჯარია თუ ქვეითი?

**იუსუფ-ბეგი:** ყიზლარში ჯარი ცოტაა, ჯარის ძირითადი ნაწილი საზაფხულო ბანაკებშია. ქვეითი ჯარი ზამთრისათვის შემის დამზადებითაა დაკავებული.

**აღა-მაჰმად-ხანი:** კარგად დაფიქრდი და მიპასუხე: გენერალმა გუდლოვინმა ბრძანება რომ მიიღოს, მეფე ერეკლეს დასახმარებლად ჯარი გაგზავნეო, რამდენი დღე დასჭირდებათ რუსებს, თბილისამდე რომ მიაღწიონ? კარგად დაფიქრდი!

**იუსუფ-ბეგი:** ირანის მბრძანებელო! გააჩნია, როგორ ბრძანებას მიიღებს გენერალი გუდლოვინი და რამდენი ათასი კაცის გაგზავნას უბრძანებენ. ქვეითი იქნება ეს ჯარი, თუ ცხენოსანი, არტილერიით თუ არტილერიის გარეშე?

**აღა-მაჰმად-ხანი (ოდნაე გაბრაზებული):** ყველაზე მკაცრ ბრძანებას! ათი ათასი კაცი, ცხენოსანი და ქვეითი არტილერიით!

**იუსუფ-ბეგი:** თუ დერბენტის გზით დაიძრა ჯარი, სამი კვირა მაინც დასჭირდება თბილისამდე, დარიალის გზით – ოთხი კვირა, შეიძლება მეტიც.

**აღა-მაჰმად-ხანი:** იუსუფ-ბეგ! საქართველოზე ლაშქრობის ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სწორია შენი დასკვნები. მეფე ერეკლე მანამ უნდა გავანადგურო, სანამ რუსის ჯარი თბილისს მიაღწევს. თუ რუსი თბილისში ჩვენზე ადრე შევიდა და რუსთა და ქართველთა ლაშქარი გაერთიანდა, იცოდე, მარცხი გარდაუვალია. საქართველო უნდა გავანადგურო და ამით რუსეთის იმპერატორს კავკასიის ქედს გადმოღმა გადმოსვლის სურვილი დაეუკარგო! ქართველები უნდა დარწმუნდნენ, რომ რუსეთთან კავშირი მათთვის დამღუპველია. თუ არ დარწმუნდებიან და ჭკუაზე არ მოეგებიან, თავიანთ თავს დააბრალონ! მეფე ერეკლე ირანის დანგრევას ცდილობს, უნდა, რუსეთი შემოგვისიოს. თუ მოლაღატე მეფე ერეკლეს მზე არ ჩაესვენა, მაშინ ირანის მზე ჩაესვენება! საქართველოში მხოლოდ ნასახლარები უნდა დარჩეს! ქართველის ადგილი მონათა ბაზარზეა!

**იუსუფ-ბეგი:** კიდევ რას ინებებთ ჩემო მბრძანებელო?

**აღა-მაჰმად-ხანი:** წადი, თავისუფალი ხარ!

*(შემოდის ყორჩიბაში აჰმედ-ხანი, თავს დაუკრავს და გაჩერდება).*

**აღა-მაჰმად-ხანი:** აჰმედ-ხან! სამ დღეში ცხენოსანი ჯარი მზად უნდა იყოს თბილისზე სალაშქროდ. ქვეით ჯარს, არტილერიასა და ალაღს აქვე ვტოვებთ, მზევრავი რაზმები ხვალ დილით უნდა დაიძრან!

**აჰმედ-ხანი (გაოცებული):** ირანის მბრძანებლო! ცხენოსანი ჯარი თბილისამდე კი მიაღწევს, მაგრამ ქვეითი ჯარისა და არტილერიის გარეშე ვერც ერთ ციხეს და, მით უმეტეს, თბილისს ვერ ავიღებთ!

**ალა-მაჰმად-ხანი:** ეგ მეც ვიცი! ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, რუსებს უნდა მივასწროთ თბილისთან, მეფე ერეკლე გონს ვერ უნდა მოვიდეს. ერეკლე იფიქრებს, რომ მე ქვეითი ჯარისა და არტილერიის გარეშე თბილისზე არ ვილაშქრებ. არტილერიისა და ქვეითი ჯარის თბილისამდე გადაყვანას სამჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ცხენოსანი ჯარისას, ესე იგი ჩვენ ცხენოსანი ჯარით თბილისთან იმაზე სამჯერ უფრო ადრე გავჩნდებით, ვიდრე ერეკლე ფიქრობს, დანარჩენი – ალაჰის ნებაა! წადი! ხვალ დილით მზვერავი რაზმები გაგზავნე, ძირითადი ძალა ზეგ უნდა დაიდრას (*ყორჩიბაში თავს დაუკრავს და ვადის*).

**ალა-მაჰმად-ხანი (ჩაფიქრებული ზის ტახტზე, რამდენიმე წუთის შემდეგ წამოდგება):** მეფე ერეკლეს მზე უნდა ჩაესვენოს, საქართველო უნდა გაუკაცრიელდეს, ქართველის ადგილი მონათა ბაზარზეა! ალაჰ! შენ მომიმართე ხელი! (*დაიხრქებს და ლოცვას იწყებს*).

### მეშვიდე სცენა

მთიულეთის სოფელი. ეკლესიის ეზოში, მუხის ქვეშ, სახელდახელოდ მოწყობილ ტახტზე ზის ერეკლე II. გარს ახვევიან ბატონიშვილები. დრო: 1795 წლის სექტემბრის შუა რიცხვები.

**ერეკლე:** ალმასხან, შვილო, რა ამბავი მოიტანეს მზვერავებმა?

**ალმასხან ბატონიშვილი:** უინვაღამდე ჩავიდნენ, მტერს არსად შეხვედრიან, დარაჯები დაუყენებიათ და უკან გამობრუნებულან.

**ერეკლე:** ყიზლარში გაგზავნილების თუ ისმის რამე?

**ალმასხან ბატონიშვილი:** ჯერ ადრეა, მამავ ბატონო, ერთ კვირაზე უადრეს უკან ვერ მობრუნდებიან, ისიც, თუ მშვიდობით ჩაადწიეს.

**ერეკლე:** გიორგის არაფერი შემოუთვლია?

**ალმასხან ბატონიშვილი:** ბატონიშვილმა მშვიდობით ჩაადწია თელავს, ქიზიყელთა ლაშქარიც თან ახლდა, მეტი არა ვიციოთ რა.

**ერეკლე:** სანამ ყიზლარიდან დაბრუნებულები ამბავს მოიტანენ, აქ დაგრჩებით, ღამეს ციხეში გავათევთ.

**ალმასხან ბატონიშვილი:** მერე სად ინებებთ წაბრძანებას, მამავ ბატონო!



**ერეკლე:** თელავს, ალმასხანს, თელავს, თბილისში ალბათ საშინელი მდგომარეობაა! თუ დახოცილები დროზე არ დამარხეს, შავი ჭირი გაჩნდება უეჭველად.

**ალმასხან ბატონიშვილი:** მამავ ბატონო! ნუ გამირისხდები, რაღაც მინდა გკითხო.

**ერეკლე:** თქვი, შვილო.

**ალმასხან ბატონიშვილი:** როგორ მოხდა, იმ საჭურისმა რომ დაგვამარცხა? ყარაბაღიდან დაბრუნების შემდეგ ხომ ბრძანე, ალა-მაჰმად-ხანი ომის დაწყებას ვერ გაბედავსო?

**ერეკლე:** ეგრე იყო, დარწმუნებული ვიყავი, ეჭვი არ მეპარებოდა.

**ალმასხან ბატონიშვილი:** მაშ, რა მოხდა?

**ერეკლე:** ალა-მაჰმად-ხანი თბილისზე ლაშქრობას მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაბედავდა (*ერეკლე დაფიქრდება*).

**ალმასხან ბატონიშვილი:** რა შემთხვევაში?

**ერეკლე:** ალა-მაჰმად-ხანი დარწმუნებული იყო, რომ ყიზლარსა და ასტრახანში განლაგებული რუსის ჯარი არ დაგვეხმარებოდა. ოღონდ არ ვიცი, საიდან შეიტყო ეს ამბავი: რუსთაგან ვინმემ გაანდო, თუ მისმა მზვერავეებმა გაიგეს. კიდევ იყო ერთი მიზეზი.

**ალმასხან ბატონიშვილი:** რა მიზეზი?

**ერეკლე:** შეეცდი მეც, ალმასხან. რუსთა უმოქმედობით დაიმედებულმა ალა-მაჰმად-ხანმა მთელი ქვეითი ჯარი, არტილერია და ალალი დატოვა და თბილისამდე ცხენოსანი ჯარით სამჯერ ნაკლებ დროში მოვიდა, ვიდრე ველოდი. ამას ვერ წარმოვიდგენდი, ეშმაკობით მაჯობა. ეს რომ მცოდნოდა, ნარიყალასა და სხვა ციხეებს გავამაგრებდი, ცხენოსანი ჯარით ციხის აღება ძნელია, შეუძლებელია, მით უფრო მტერს სააღყო ზარბაზნები არ გააჩნდა. მე კი ბრძოლა ველზე გავმართე, ველზე ბრძოლა მტერმა ქვეითი ჯარის გარეშეც შეძლო. თუმცა მაინც შეიძლებოდა მტრის ძლევა...

**ალმასხან ბატონიშვილი:** როგორ?

**ერეკლე:** შენ რომ ქიზიყელებითა და არაგველებით ალა-მაჰმად-ხანის კარვის მიმართულებით შეუტეე, გახსოვს?

**ალმასხან ბატონიშვილი:** ასიოდე ნაბიჯი დარჩა კარვამდე, მაგრამ თითქმის ცოცხალი აღარავინ დარჩა ჩემს რაზმში, ვინც გადავრჩით, სულ ყველანი დაჭრილები ვიყავით.

**ერეკლე:** კიდევ ათასი კაცი, ხუთასი კაციც რომ მყოლოდა და შენთვის მომეშველებინა, აღა-მაჰმად-ხანი ცოცხალი ვეღარ გაადწევდა. ბოლო წუთამდე ველოდი ქიზიყელთა ლაშქარს... დასვენებული ჯარის შეტევას მტერი ვეღარ გაუძლებდა.

**ალმასხან ბატონიშვილი:** ბატონიშვილ გიორგისთან ორი მაცნე მეც გაგზავნე, არც ერთი არ დაბრუნებულა, სად გაქრნენ, არ ვიცი, მიაღწიეს კი ბატონიშვილამდე?

**ერეკლე:** მეც შიკრიკს შიკრიკზე ვგზავნიდი, ყველა უკვალოდ ქრებოდა...

**ალმასხან ბატონიშვილი:** ნუთუ გაგზავნილთაგან ვერავინ მიაღწია ბატონიშვილამდე?

**ერეკლე:** ვერ მიაღწიეს... მე მამა ვარ და სხვაგვარად არ შემიძლია ვიფიქრო... შენც ნუ გაივლებ გულში სხვაგვარ ფიქრს... *(მეფე ღრმად ჩაფიქრდება, ალმასხანს ვეღარც ამჩნევს).*

### მერვე სცენა

გატჩინო. იმპერატორ პავლე I-ის აპარტამენტები. დარბაზში ფანჯარასთან ფეხზე დგას პავლე I. დრო: 1799 წლის თებერვალი.

**პავლე I** (*ზარს დარეკავს, შემოდის გვარდიის ოფიცერი*): ვიცე-კანცლერი როგორც კი მოვა, შემოვიდეს!

**ოფიცერი:** თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობაჲ! უკვე გელოდებათ.

**პავლე I:** სთხოვეთ! *(პავლე I სავარძელში ჩაეშვება).*

*(შემოდის ნიკიტა პანინი, თავს დაუკრავს და გაჩერდება).*

**პავლე I:** დაბრძანდით, ნიკიტა ივანეს ძე! რა გქონდათ მოსახსენებელი?

**ნიკიტა პანინი:** გუშინ, გვიან ღამით, ყიზლარიდან შიკრიკმა გენერალ ლაზარევის წერილი მოიტანა. გენერალი გვატყობინებს, რომ გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე თეიმურაზის ძე.

**პავლე I** *(გამოცოცხლდება):* რა რაოდენობის ჯარი ჰყავს გენერალ ლაზარევს საქართველოში, შეიძლება თუ არა ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმება, გენერალ კნორინგის ან გენერალ ლაზარევის გუბერნატორად დანიშვნა?

**ნიკიტა პანინი:** ერეკლეს შემდეგ ტახტზე მისი უფროსი შვილი გიორგი უნდა ავიდეს. თქვენი თანხმობის დასადასტურებლად სამეფო ნიშნები თქვენ უნდა გაუგზავნოთ. რეალურად ჩვენ შეგვიძლია ქართლ-კახეთში მეფობა გავაუქმოთ და გენერალ კნორინგს ან გენერალ ლაზარევს ვუბრძანოთ გუბერნატორის მოვალეობის შესრულება. ჯარი თბილისში საკმარისია, თუ არ იკმარებს, ყიზლარიდან გადავიყვანოთ.

**პაველე I:** მაშ, რაღას ელოდებით?

**ნიკიტა პანინი:** უმჯობესია, ამჯერად თავი შევიკავოთ და ტახტზე გიორგი ერეკლეს ძის ასვლას დავეთანხმოთ.

**პაველე I:** რატომ?

**ნიკიტა პანინი:** გიორგი ერეკლეს ძე უკვე ძლიერ ავადაა, ექიმი ამბობს, რომ მისი ჯანმრთელობა სულ უფრო გაუარესდება, დიდხანს ვერ იცოცხლებს. გარდა ამისა, გიორგი ერეკლეს ძე დაპირისპირებულია დედინაცვალთან, დარეჯან დედოფალთან და ძმებთან. გენერალი ლაზარევი გვწერს, რომ გიორგის მეფობის შემთხვევაში ქართლ-კახეთი კიდევ უფრო დაუძლურდება, სამეფო ოჯახთან დაპირისპირებული გიორგი ერეკლეს ძე ქვეყნის მართვას ვერ შეძლებს და იძულებული გახდება, ჩვენს იმედად იყოს. ქართლ-კახეთის სამეფო უმჯობესია გიორგი ერეკლეს ძის სიკვდილის შემდეგ გავაუქმოთ, რაც თითქმის უმტკივნეულოდ მოხდება.

**პაველე I:** დედოფალმა დარეჯანმა ან ძმებმა გიორგი ერეკლეს ძე ტახტიდან რომ ჩამოაგდონ, რომ მოკლან?

**ნიკიტა პანინი:** ამაზე უკეთეს რაიმეს ჩვენ ვერც კი ვინატრებთ. როგორც კი ეს მოხდება, მაშინვე სამეფოს გავაუქმებთ.

**პაველე I:** ირანის პოზიცია არ გაშინებთ?

**ნიკიტა პანინი:** ალა-მაჰმად-ხანის მკვლელობის შემდეგ რუსეთის იმპერიისთვის ირანი სერიოზულ საშიშროებას აღარ წარმოადგენს. ოსმალეთი და ევროპის ქვეყნები რომ არა, მთელს ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანს ადვილად დავიპყრობდით.

**პაველე I:** კავკასიის ხაზის უფროსს, სამეფო ოჯახის წევრთა შორის თანხმობა არ ჩამოვარდეს, გენერალ კნორინგს მისწერეთ, რომ ყოველი შემთხვევისთვის მზად ჰყავდეს ერთი ქვეითი და ერთი ცხენოსანი პოლკი, არტილერია. გენერალ ლაზარევს მისწერეთ, ყოველი ღონე იხმაროს, რათა

გიორგი ერეკლეს ძესა, ამას ჩვენთვის შეიძლება ძალზე ცუდი შედეგები მოჰყვეს.

**ნიკიტა პანინი:** თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ! ყველა ზომა მიღებული იქნება, გიორგი ერეკლეს ძე ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე იქნება, სულ მალე რუსეთის იმპერიას კიდევ ერთი გუბერნია – საქართველოს გუბერნია – შეემატება!

**პავლე I:** იყოს ნება უფლისა! გმადლობ, ნიკიტა ივანეს ძევ! (*ნიკიტა პანინი თავს დაუკრავს და გადის*).

### მეცხრე სცენა

ვარციხე. იმერეთის მეფის საზაფხულო რეზიდენცია. აივანზე ზის იმერეთის მეფე სოლომონ II, გვერდით უზის სოლომონ ლიონიძე.

დრო: 1799 წლის ზაფხული.

**სოლომონ II:** თავადო! დიდ საფრთხეში ჩაგიგდია თავი, მეფე გიორგის უკითხავად რომ გადმოსულხარ იმერეთს.

**სოლომონ ლიონიძე:** მოცდა აღარ შეიძლება, ხელმწიფევე, იღუპება ქვეყანა, პაპაშენის, სულკურთხეული მეფე ერეკლეს მიერ გადახდილი უმარავი ომით შენარჩუნებული ქვეყანა იღუპება!

**სოლომონ II:** მეფე ერეკლეს დასაფლავების შემდეგ თბილისში აღარ ვყოფილვარ, ზოგი რამ ვიცი, ბევრი ამბავი ჩვენამდე არ მოდის.

**სოლომონ ლიონიძე:** მეფე გიორგი დედოფალ დარეჯანსა და ძმებს ვერ მოურიგდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არც კი უცდია მორიგება. არც ვიცი, რუსებმა ჩაუნერგეს შიში თუ სხვა ვინმემ, მაგრამ ეს კია, რომ სამარცხვინო ამბავი ხდება. მეფე თბილისში ლეკთა რაზმის თანხლებით დაბრძანდება. ძმებს არ იკარებს, თუმცა არც ისინი იწუხებენ თავს, თბილისში იშვიათად ჩნდებიან. მეფესთან თითქმის მუდმივად იმყოფებიან რუსეთის ჯარის მეთაური გენერალი ლაზარევი და რუსეთის წარმომადგენელი მეფის კარზე – კოვალენსკი. რას თათბირობენ, არავინ იცის.

**სოლომონ II:** უფლისწული დავით თუ ეხმარება მამას სამეფო საქმეთა განგებაში?

**სოლომონ ლიონიძე:** ერთხელ ვკითხე, მაგრამ უგუნებოდ მიპასუხა: მამა რუსებთან თათბირობს, მე არაფერს მეკითხებაო!

**სოლომონ II:** მეფე გიორგი თუ ხვდება, რას აპირებენ რუსები, გენერალი ლაზარევი და კოვალენსკი კი არა, პეტერბურგში რას დაუსახავთ მიზნად?

**სოლომონ ლიონიძე:** ხელმწიფე! დიდი მიხვედრა არ უნდა, რას აპირებენ. მეფე ერეკლეს გარდაცვალებით დაირღვა ის უკანასკნელი ზღუდე, რომელიც ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებას უშლიდა ხელს. რუსები ახლა მეფობას მაშინ გააუქმებენ, როცა მოისურვებენ. ვფიქრობ, მეფე გიორგის გარდაცვალებას ელოდებიან.

**სოლომონ II:** ნუთუ დედოფალი დარეჯანი, მეფე გიორგი და უფლისწულები ვერ გრძნობენ საფრთხეს?!

**სოლომონ ლიონიძე:** საფრთხის შეგრძნება რომ არ ჰქონდათ, ეს კრწანისის ბრძოლის დროს გამოძღვანდა, საფრთხე რომ ეგრძნოთ, ალა-მაჰმად-ხანი ვერ გეძღვედა და ამ დღეშიც არ ჩავცვივდებოდით.

**სოლომონ II:** მტერი მუდამ ერთი და იმავე მიზეზის გამო გვაპარცხებს – ჩვენ შორის არსებულ შუღლსა და მტრობას იყენებს.

**სოლომონ ლიონიძე:** ასეა, აქეთ მომავალმა ქართლში ერთი ჩემი მოკეთისაგან მეტად ცუდი ამბავი შევიტყვე. ქსნის ერისთავი და კიდევ სხვებიც გენერალ ლაზარევთან მისულან და თხოვნა მიურთმევიათ.

**სოლომონ II:** რაო, რა გვინდაო?

**სოლომონ ლიონიძე:** ქართლის სამეფო აღადგინეთ და ჩვენ და ჩვენი მეფე რუსეთის ქვეშევდომები გავხდებითო.

**სოლომონ II:** გაგიჟდნენ?!

**სოლომონ ლიონიძე:** ალბათ გენერალი ლაზარევი ქართლის თავადების თხოვნას მეფე გიორგის აჩვენებდა და სულ მთლად დააფრთხოდა.

**სოლომონ II:** ბატონიშვილებს თუ შეხვდი, რას აპირებ?

**სოლომონ ლიონიძე:** ხელმწიფე! მე სწორედ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების დავალებით გეახელით, ალექსანდრე ბატონიშვილიც ამ აზრისაა. მეფე გიორგი სულ ავადმყოფობს. აშკარაა, რუსები მის სიკვდილს ელიან. შეიძლება, მანამდე ყველა ბატონიშვილი დააპატიმრონ, ბევრ სხვასაც გადასწვდნენ, მათ შორის – მეც. ქართლი და კახეთი რუსებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს: თბილისში, თელავში, გორში, სურამში,

დუშეთში რუსის ჯარი დგას. თუ თქვენი ნება იქნება, ბატონიშვილები იულონი, ფარნაოზი და ლევანი იმერეთში გადმოვლენ, აქ შეაფარებენ თავს.

**სოლომონ II:** ბატონიშვილებს ჩემი დასტური გადაეცით!

**სოლომონ ლიონიძე:** ხელმწიფევ! მეფე ერეკლეს შთამომავლობაში მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ წინააღმდეგობა გაუწიოთ რუსებს, თქვენ უნდა გააერთიანოთ ამერ-იმერი, მეფე ერეკლეს ყველა ერთგული ქვეშევდომი თქვენს ერთგულ ქვეშევრდომად იგულებს!

**სოლომონ II:** უფლის ნებაა ყველაფერი!

**სოლომონ ლიონიძე:** ხელმწიფევ! მე შეიძლება ცოცხალი ვედარ მიხილოთ. მუხლმოდრეკილი გვედრებით (*დაიხოქებს*), დამიჯერეთ და სხვებიც დაარწმუნეთ: რუსი საქართველოში იმაზე გაცილებით დიდ ბოროტებას ჩაიდენს, რაც საუკუნეების მანძილზე ყიზილბაშმა და ოსმალომ დაგვატყვეს თავს.

**სოლომონ II:** (*ფეხზე წამოაყენებს სოლომონ ლიონიძეს*): თავადო! მეც ვუწყი: რუსი დიდ უბედურებას დაატრიალებს საქართველოში. ჩვენმა მეფეებმა და ხალხმაც ყიზილბაშთან და ოსმალებთან ბრძოლა კარგად ისწავლეს და ამიტომაც მოვიგეთ ჩვენ ეს ომი. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ჩვენ რუსთან ბრძოლა არ ვიცით, ამიტომაც, რომ ქართლ-კახეთის სამეფო უკანასკნელ დღეებს ითვლის, ამიტომაც, რომ გულხელდაკრეფილი შევეყურებთ ამ უბედურებას. სანამ ერი და ბერი არ მიხედება, რა საფრთხე გვემუქრება რუსისაგან, ხსნის გზა არ გამოჩნდება. სანამ რუსს მოყვარედ ჩათვლიან, მანამ რუსი იბოგინებს საქართველოში. ეს ჭირი ძნელი მოსახდელი იქნება! (*ორივენი ტოვებენ აივანს*).

## მეათე სცენა

თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი. ტაძარი სავსეა ხალხით.

საკურთხევლის კარის ახლოს, მარჯვნივ დგანან: ბატონიშვილი დავითი და სხვა ბატონიშვილები, კავკასიის ხაზის უფროსი გენერალი კნორინგი, რუსეთის ჯარის სარდალი საქართველოში, გენერალი ლაზარევი, რუსეთის წარმომადგენელი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე კოვალენსკი. მათ უკან დგანან ქართლისა და კახეთის თავადები, მოქალაქეები. საკურთხევლის კარის

ახლოს, მარცხნივ დგანან: დედოფალი დარეჯანი, დედოფალი მარიამი, ბატონიშვილთა მეუღლეები. ტაძრის ეზო სავსეა ხალხით. ტაძარი და ეზო რუსის ჯარის ალყაშია. დრო: 1802 წლის 12 აპრილი.

*(ტაძრის სვეტთან ახლოს ჩუმად საუბრობენ თავადები – კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ჯანდიერი და დავით ანდრონიკაშვილი).*

**კონსტანტინე ჩოლოყაშვილი:** კათოლიკოს-პატრიარქი მობრძანდა?

**ელიზბარ ჯანდიერი:** მობრძანდა, საკურთხეველშია.

**კონსტანტინე ჩოლოყაშვილი:** ალექსანდრე ბატონიშვილი არა ჩანს.

**დავით ანდრონიკაშვილი:** ამბობენ, რუსები ცუდი თვალთ უყურებენო, ალბათ დღეს არც გამოჩნდება.

**ელიზბარ ჯანდიერი:** რა უნდათ, რისთვის შეგვყარეს?

**დავით ანდრონიკაშვილი:** რუსეთის ხელმწიფის მანიფესტი უნდა წაიკითხონ...

**ელიზბარ ჯანდიერი:** თავადო დავით, თავადო კონსტანტინე, გარეთ გავიდეთ, რუსის ჯარის ტაძრის ეზოში შემოსვლა ცუდად მენიშნა, კარებთან დავდგეთ, იქიდან მოვუსმინოთ *(გადიან)*.

*(თავადები ტაძრის კარებთან დადგებიან. მანიფესტის კითხვა დაიწყო).*

**კონსტანტინე ჩოლოყაშვილი:** რუსულად კითხულობენ, ვერაფერს გავიგებთ, ვინმე რუსულის მცოდნე უნდა ვნახოთ.

*(მანიფესტის კითხვა დასრულდა. კონსტანტინე ჩოლოყაშვილი თვალს მოჰკრავს ტაძრიდან გამოსულ მღვდელს).*

**კონსტანტინე ჩოლოყაშვილი:** მამა იოანე! რაო, რა გაიგეთ, რა მინდაო, რუსთ ხელმწიფემ? *(თავადები გარს შემოეხვევიან მღვდელს).*

**მამა იოანე:** ცუდი ამბავი, შვილებო, ცუდი ამბავი! რუსთ ხელმწიფემ მეფობა მოგვისპო, ბაგრატიონები აღარ იქნებიან ჩვენი ხელმწიფენი. ჩვენ ყველანი რუსთ ხელმწიფის ყმები ვხდებით, რუსები განაგებენ აწი ჩვენს ქვეყანას.

**ელიზბარ ჯანდიერი:** როგორ, ტრაქტატში ხომ წერია, მეფობა საუკუნოდ შენარჩუნდებაო?

**მამა იოანე:** კი წერია, მაგრამ ახალი იმპერატორი გვეუბნება: თქვენთვის ასე სჯობია, მეფე არ გინდათო!

*(ტაძრიდან აჩქარებული ნაბიჯით გამოდის კახელი თავადების ჯგუფი).*

**კონსტანტინე ჩოლოყაშვილი:** რა მოხდა, საით გაგიწევიათ!

**დავით ვაჩნაძე:** რუსმა გენერალმა ბრძანა, დაიხოქეთ და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცეთო! ვერ ეღირსებიან ამას! თავადო, ჩვენ კახეთში ვბრუნდებით, თქვენ რასა იქმთ?

**კონსტანტინე ჩოლოყაშვილი:** ჩვენც მოვდივართ! ყველანი ხიდთან შევიკრიბოთ, ცალ-ცალკე ნუ დავიძვრებით, შეიძლება გზად ჩაგვისაფრდნენ!

### მეთერთმეტე სცენა

მეტეხის ხიდთან შეკრებილია ასამდე კაცი, ძირითადად კახელი თავადები, აზნაურები და მათი მსლებლები.

დრო: 1802 წლის 12 აპრილი.

*(ყველანი აღელვებულებია რიან, ჯგუფ-ჯგუფად დგავანან, საუბრობენ. შეკრებილთ მიუახლოვდება მამა იოანე).*

**ელიზბარ ჯანდიერი:** მამაო იოანე! ჩვენ რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე არ დავიფიცებთ, თუ ამას ომი მოჰყვება, მოჰყვეს, დავიხოცებით და არ დავიფიცებთ! ჩვენ არავის არაფერს ვეცილებით, სისხლი თუ დაიდვარა, ჩვენს კისერზე არ იქნება ეს ცოდვა. თქვენი ღოცვა-კურთხევა ძალას შეგვმატებს, მამაო!

**მამა იოანე (ჯვარს აღმართავს):** ღმერთმა დაგლოცოთ! ძნელ და სახიფათო გზაზე აპრებთ შედგომას, შვილებო! უკიდურესი გაჭირვების, უიმედობის უამსაც კი გახსოვდეთ, თქვენი საქმე კურთხეულია უფლისაგან: სიმართლისათვის მებრძოლი ღვთის სამსახურშია და ღმერთი არასდროს მიატოვებს მას. ჩვენთან არს ღმერთი!

**ყველანი ერთად:** არს და იყოს!

**მამა იოანე:** მეც თქვენთან მოვდივარ, შვილებო! ჩემი სისხლიც იქ დაიდვაროს, სადაც სამშობლოსათვის წამებულთა სისხლი დაიდვრება!

### მეთორმეტე სცენა

სოფელი არაგვის ხეობაში. ხევისბერის სახლი, დარბაზში საწოლზე წევს ხევისბერი ღვთისო. ძილბურანშია. ხევისბერს გამოეცხადება მეფე ერეკლე II.

დრო: 1804 წელი



**ღვთისო:** მეფე ერეკლე?!

**ერეკლე:** ჰო, მე ვარ, ხევისბერო!

**ღვთისო:** ხელმწიფე, ჯარი შეყვარო? ვინც დავრჩით, სამ დღეში ქალაქს ვიქნებით! ომს როდის აპირებ?

**ერეკლე:** ომი არ იქნება, ხევისბერო, მე ომს მოვრჩი! აწი, თუ იქნება, უჩემოდ უნდა იომოთ! (ხევისბერს გაახსენდება, რომ ერეკლე უკვე გარდაცვლილია, მიხვდება, რომ სული გამოეცხადა, დაიბნევა).

**ღვთისო:** არაგველებით მობრძანდით, მეფე?

**ერეკლე:** მარტო მოვედი, არაგველებიც მორჩნენ ომს!

**ღვთისო:** ჩვენ, ვინც აქა ვართ, ომს არ მოვრჩენილვართ! უომრად, აბა, როგორ იქნება? მე იმასაც ვნაღვლობ, კრწანისის ომში რომ ვერ გამოვეყვე არაგველებს.

**ერეკლე:** რამდენი წლისა ხარ, ხევისბერო?

**ღვთისო:** ოთხმოცდაათს გადავაბიჯე.

**ერეკლე:** უკვე მოხუცებული ხარ, აბა, როგორ უნდა გამოჰყოლოდი არაგველებს?

**ღვთისო:** ნეტავ გამოვეყოლოდი, ასეთ სიცოცხლეს მერჩია, კრწანისის ველზე მოვეკალი მტერს!

**ერეკლე:** მე მსაყვედურობ?

**ღვთისო:** მეფე ერეკლეს სახელი წმიდაა მთაში, საყვედური არ ითქმება!

**ერეკლე:** ქვეყანა ხომ მე ჩავაგდე ამ ყოფაში?

**ღვთისო:** ყველაფერი უფლის ნებაა!

**ერეკლე:** მაშ, მე აუგად არ მახსენებენ?

**ღვთისო:** არა, მეფეო!

**ერეკლე:** არაგველებთან ერთად თუ მიხსენიებენ ლოცვებში, ხატობაში, პურობას?

**ღვთისო:** მე ეგრე გიხსენიებ, მეფეო, ისე კი წესი არაა... მეფე, გვირგვინოსანი, ცალკე, და განსაკუთრებულად მოიხსენიება.

**ერეკლე:** გმადლობ, ხევისბერო! ეგრე მომიხსენიე, სხვებსაც ასე გადაეცი: მეფის სათხოვარია-თქო!

**ღვთისო:** ომის გარეშე არ იქნება, მეფეო! წაახდინა რუსმა ქვეყანა. ეგაა ცუდი, რომ რუსთან ომი არ ვიცით!

**ერეკლე:** ისწავლით! სწავლაც არ გინდათ. არაგველებმა რომ ომი ქნეს კრწანისის ველზე, ომებში დავებრდი და ეგეთი არა მენახა რა!

**ღვთისო:** კარგი ომი ბაგრატიონის გარეშე არ იქნების!

**ერეკლე:** მეფის გარეშე რომ დარჩით, ჩემი ბრალია, ღმერთი გიჩვენებთ ხსნის გზას!

**ღვთისო:** აკი გითხარ, მეფეო, შენი ბრალი არაფერია, უფლის ნებით ხდება ყველაფერი!

**ერეკლე:** ხევისბერო! მე ღმერთმა შემინდო ყველა ცოდვა!

**ღვთისო:** ადრე რატომ არ მითხარ?

**ერეკლე:** მე ამის სათქმელად არ მოვსულვარ, სხვა სათხოვარი მაქვს!

**ღვთისო:** რა სათხოვარი?

**ერეკლე:** არაგველების სისხლი შემინდე!

**ღვთისო:** ხელმწიფეგ! ღმერთმა შეგინდო და მე, უბრალო ხევისბერს, რაღა შენდობას მთხოვ? არ ეგების ეგრე!

**ერეკლე:** მე ღმერთმა ყველა ცოდვა შემინდო, მაგრამ არაგველების სისხლის შენდობას შენგან ვითხოვ!

**ღვთისო (დაფიქრდება და შემდეგ იტყვის):** თუ ასეა, უფალმა შეგინდოს!

*(ხევისბერს გამოვლევობა, მიიხედ-მოიხედავს, მეფე ერეკლეს ვერსად დაინახავს, კარებისაკენ გაიხედავს. კარებში დგას შორიდან მოსული სხვა ხევისბერი).*

**ღვთისო (წამოვდება):** მშვიდობით მოხვედ, გიორგი! რა ამბავი მოიტანე, ღამით გზას რატომ დაადეგ, თავი ხიფათში რატომ ჩაიგდე?

**გიორგი:** მშვიდობით მოხვედ, თუ ამას მშვიდობა ჰქვია! ხევისბერთა შორის შენ ხარ უხუცესი, შენს სიტყვას დიდი ფასი აქვს. ლაშქარი იკრიბება, რუსებთან ომს ვაპირებთ, ხუთი ხევისბერი გარეთ გელოდება.

**ღვთისო:** მოვდივარ! *(შეიმოსება. იარაღს აისხამს).*

**გიორგი (დაფიქრებული):** სანამ ხატში ავალთ და ბჭობას დავიწყებდეთ, ერთი რამ უნდა გითხრა...

**ღვთისო:** რა უნდა მითხრა, მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს, წუხელ მეფე ერეკლე გამომეცხადა, მივხვდი, რუსებთან ომი იქნებოდა!

**გიორგი (გაკვირვებული):** ხომ არაფერი უბრძანებია მეფეს, რაიმე ხომ არ უთხოვია?

**ღვთისო (გაკვირვებული):** რატომ მეკითხები, მეფეს რა უნდა ეთხოვა?

**გიორგი:** ჩემიანად ექვსი ხვეისბერი გეახელით. გაოცებულნი ვართ, ყველას, უკლებლივ, მეფე ერეკლე გამოგვეცხადა და არაგველთა სისხლის შენდობა ითხოვა!

**ღვთისო (გაკვირვებული):** შეუნდეთ?

**გიორგი:** ყველამ შევუნდეთ!

**ღვთისო (დაფიქრებული):** მეც შევუნდე!

*(გარედან ისმის ლაშქრული. ხმა თანდათან ძლიერდება, ყველა ხვეისბერი დარბაზში იყრის თავს, მუხლს მოიყრიან და წმიდა გიორგის ხატის წინ ღოცვას იწყებენ).*

**ფარდა**

*(მეორე მოქმედების დასასრული).*